სამმართველოს რესტავრატორ კ. ბაკურაძის ჯგუფი), ჩვენ შეგვეძლება ნამდვილი წარმოდგენა ვიქონიოთ კედლის მხატვრობაზე, რომელიც „შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების ერთ-ერთი უთვისაღირსესი პერიოდის ბრწყინვალე ძეგლთა წრეში შედის ვარძიასთან, ყინციისთან, ბერთუბანთან, ტიმოთესუბანთან ერთად. და თუმცა ბეთანიის მონასტრობის „გახსნა“ ეს-ესაა დაიწყო, უკვე დღესვე ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს არა მარტო უმაღლესი კლასის მხატვრობასთან (როგორც სამართლიანად აღნიშნა ერთ-ერთმა გამოჩენილმა ევროპელმა მკვლევარმა ვ. ჯურიჩმა, — „ეს არის კონსტანტინოპოლური ძეგლების დონის ფერწერა“), არამედ ისეთ ძეგლთანაც, რომლის შესწავლა, ასე ვთქვათ, „ვაშიფრა“, ფართო ასპექტით განხილვა გარკვეული და სრულიად ახალი დასკვნების მიღების შესაძლებლობებს მოგვცემს. ეს კი ენება არა მარტო მხატვრობას, არამედ არქიტექტურასაც. ეს საოცარი სილამაზის მონასტრობა შეგვაძლებინებს ახლებურად გავაშუქოთ იმ საგვარეულოს უცნაური და ტრაგიკული ბედი, რომლის გაბედული და თვითნება წარმომადგენლები სწირად განსაზღვრავდნენ საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკას ორი საუკუნის განმავლობაში. თუმცა ამ თითქმის თანასწორ ძალთა შეპირისპირებაში გამარჯვება საბოლოოდ ბაგრატიონთა დინასტიას ხვდა.

ბეთანიის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს თბილისიდან 16-18 კილომეტრზე, სამხრეთ დასავლეთისაკენ, მდინარე ვერეს ხევის გასწვრივ აღმართული ქედის კალთებში მიმალული.

XIII საუკუნის ისტორიკოსის სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, მონასტერი უკვე XI საუკუნეში არსებობდა, ორბელთა საგვარეულო საქალაქო იყო სპეციალურად აგებული. ორბელს ჰქვია ქართლის (შუასაუკუნეების საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციები) ვრცელი ტერიტორია ეკუთვნოდათ, საგვარეულოს წარმომადგენლებს კი მეფის კარზე ყველაზე პატივსაცემი თანამდებობები ეკავათ — ამირსპასალარის (სამხედრო მინისტრი და მთავარსარდალი), მანდატურთუხუცესის (შინაგან საქმეთა მინისტრი) და ათაბაგისა (მეფისწულის აღმზრდელი).²

ოღდესაღც გალავნით შემორტყმულ მონასტრის ტერიტორიაზე ამჟამად შემორჩენილია: ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი და მონასტ-



სამხრეთ მკლავის მოხატულობა, წინასწარმეტყველი ეფთხიელ ს. დალი.

სამხრეთ მკლავის მოხატულობა, წინასწარმეტყველი დავითი.



ლი დიდი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, იქვე, მისგან დასავლეთით, სააღმშენებლო წარწერით 1196 წლით დათარიღებული პატარა დარბაზული ეკლესია და ახლახან რესტავირებული კოშკის თაღოვანი შესასვლელი, რომლის ზედა სართულში, შესაძლოა, სამრეკლო იყო.

ბეთანიის მთავარი ტაძარი, რომელიც გეგმით, მასათა აგებითა და მოცულობათა განაწილებით შედის XII-XIII საუკუნეთა ძეგლების ჯგუფში (თიღვა, იკორთა, ქვათახევი, ფიქარეთი, წულურულაშენი და სხვ.), წარმოადგენს ე. წ. „ჩაწერილ ჯვარს“; მისი მრავალსარკმელიანი გუმბათი დასავლეთის მხრიდან ეყრდნობა ორ თავისუფლად მდგომ ბურჯს, აღმოსავლეთიდან კი საკურთხევლის შვერილ კედლებს. როგორც ტაძრის ძირითადი კომპოზიცია, ასევე მისი ფსალფების დეკორატიული გაფორმება (გუმბათის ყელის, შენობის სარკმელთა საპირეებისა და კარიბუის განვითარებული და მდიდარი მოჩუქურთმება) ტიპურია XI-XIII საუკუნეების ქართული არქიტექტურის მომწიფებული აფერწერული სტილისათვის.³

მიღებული მოსაზრება, რომ მონასტრის ეს მთავარი ტაძარი აშენებული იყო XII საუკუნის დასასრულს — XIII საუკუნის პირველ წლებში, ძველი და უფრო მცირე ზომის აგურით ნაგები შენობის ადგილს, სწორედ ამ ადრეული შენობის ნაწილად მიიჩნევენ აგურით ნაგებ დასავლეთის ეკვდრს, რომლის ქვეშ მოთავსებულია საძაღუ.⁴

საერო პირთა პორტრეტის დეტალებზე დაყრდნობით, ლაშა-გიორგის გამოსახვა გვირგვინითა და ხმლით, ე. ო. უკვე მისი მეფედ კურთხევის შემდეგ, ეს კი 1207 წელს მოხდა,⁵ მხატვრობასაც ამ დროით ათარიღებენ.⁶ (ლაშა აქ წარმოდგენილია დედასთან და პაპასთან — გიორგი III-თან ერთად). გარკვეულ საფუძველს ტაძრის დათარიღებისათვის იძლეოდა XVIII საუკუნის ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობაც, რომ მონასტერი აგებული იყო თამარ-მეფის მიერ.⁷ როგორც ჩანს, ვახუშტიც, ასევე მეფეთა ამ პორტრეტებს ეყრდნობოდა.

დღემდე შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ნამდვილ ქტიტორს — ტაძრის მშენებელს, რომელიც ეკლესიის მოდელით ხელში (საინტერესოა, რომ იგი გამოსახულია გუმბათითა და ჩუქურთმებიანი საპირეებით) წარმოდგენილია სამხრეთის მკლავის სამხრეთის კედელზე ლეთისმშობლისა და ყრმა იესოს გამოსახულების წინ. რამდენადაც ქტიტორის პორტრეტი მოთავსებულია მეფეთა პორტრეტების პირდაპირ, საფიქრებელია, რომ სამხრეთის მკლავშიც, ლეთისმშობლის გარდა, იყო ფეოდალთა სამი (თუ არა ოთხი)



ფიგურა. შედარებით კარგადაა შემორჩენილი პირველის გამოსახულება. შ. ამირანაშვილი, დ. გორდევეზე დაყრდნობით, მას უწოდებს სუმბატ ღიღს, რომელიც თითქოსდა გიორგი III-ის ერთ-ერთი ვაზირი იყო; სუმბატის გვერდით, შ. ამირანაშვილის აზრით, გამოსახული იყო მისი ვაჟი ლიპარიტი. ორივემ, მეცნიერის თქმით, მონაწილეობა მიიღო გიორგი III-ის წინააღმდეგ 1177 წელს მოწოდებულ შეთქმულებაში, რომლის მოთავეები ამირანაშალი ივანე ორბელი და მისი სიძე დემნა ბატონიშვილი იყვნენ (შეთქმულების მიზანი იყო დემნასთვის — გიორგი III-ის უფროსი ძმის — დავითის-ძისაძვის ტახტის დაბრუნება). მაგრამ შეთქმულება მარცხით დამთავრდა და მისი მონაწილენი სასტიკად დაისჯნენ. ლიპარიტმა ირანში გაქცეული უშველა თავს, სუმბატი კი ძალით ბერად აღკვეცი მისივე საკუთარ მონასტერში („სვიმონ ქვნილი“). თითქოსდა სწორედ ამ ამბებმა „აწუხარებით შემოსა მხნე, მაგრამ სასტიკი მეფის — გიორგი III-ის ცხოვრების უკანასკნელი წლები“, რამაც „თავისი გამოახილი ჰპოვა ბეთანიის მხატვრობაში“ „მაცხოვრის ვნებათა“ მრავალრიცხოვანი სიუჟეტების ციკლში, თავისებური დრამატულობის ელემენტების შეჭრით ტაძრის საკურთხეველის ავსილის მოხატულობაში... შ. ამირანაშვილისავე აზრით, ბეთანიის მოხატულობა შეკვეთილი იყო სუმბატ-სვიმონის მიერ ჯერ კიდევ თამარის სიციცხლეში, ე. ი. 1213 წლამდე.⁸

იგივე სუმბატს, ბეთანიის ფრესკასთან დაკავშირებით იხსენიებს პროფ. ლ. მელიქსედეგე (შეცდომით მას ჩრდილოეთის კედელზე ათავსებს). მოჰყავს რა თავის „ლორეტაშირის ეპიგრაფიკაში“ ამ 3-4 ათეული წლის წინ ჯერ კიდევ არსებული წარწერა: „დიდი სუმბატ, მანდატურთუხუცესი“ (წარწერიდან ამჟამად გადარჩენილია მხოლოდ ნაწილი — „დიდი სუმ...“). პროფ. მელიქსედეგის აზრით, სუმბატი მოხსენიებულია ამჟამად დაკარგულ სანაინის 1173 წლის წარწერაში, და როგორც ხნევენჯის მონასტრის სვეტიცხოვლის ეკლესიის განმავალბებელი და მომკაზმველი, ქორიონიის აღნიშვნით 1156 წლით.¹⁰ რატომღაც მეცნიერს ურჩევნია დაინახოს მასში არა დიდი სუმბატ I, დემეტრე I-ის თანამედროვე, რაც სავსებით შესაბამისობა ხნევენჯის თარიღს, არამედ მისი შვილიშვილი — სუმბატ II, 1177 წლის შეთქმულების მონაწილე, გიორგი III-ის თანამედროვე. იგივე სუმბატ II-ედ თვლის ბეთანიის ქტიტორს, ლ. მელიქსედეგისა და შ. ამირანაშვილის გარდა, ს. კაკაბაძეც.¹¹

მაგრამ ბოლო წლების გამოკვლევებმა, კერძოდ კი შ. მესხიას ფუნდამენტალურმა შრომამ,¹² როგორც ქტიტორის პიროვნების,

ასევე მისი ცხოვრების წლების დახუცების შესაძლებლობა მოგვცა.

ირაკვეა, რომ „დიდი სუმბატი“ იყო ძე „დიდი ივანისი“ (გარდაიცვალა 1128 წლის შემდეგ), დაეთი აღმაშენებლის ამირანაშალია და მანდატურთუხუცესის, თეოდოს, ასევე, ამირანაშალი და მანდატურთუხუცესი იყო, დავითის ძის — დემეტრე I-ის თანამედროვე; მან დაახლოებით 1155 წელს დაპყარვა თავისი თანამდებობები, როგორც ჩანს, ტახტიდან დემეტრეს დროებით გადადგომისთან დაკავშირებით (ამ დროს ტახტი ხელთ იგდო დემეტრეს უფროსმა შვილმა დავით V-მ და ორბელითა თანამდებობები გადასცა ჭირქაშს, რომელიც დემეტრეს დროს ციხეში იყო. შესაძლოა ამ დროსვე სუმბატი აღიკვეცა ბერად. მაგრამ დემეტრეს ტახტზე დაბრუნებისთან, ხოლო შემდეგ კი მისი ძის — გიორგი III-ის გამეფებისთან ერთად, სუმბატი, თუმცა კი რჩება ბერად — „სვიმონ ქვნილად“, კვლავ აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკასა და სამხედრო ცხოვრებაში, ხოლო ამირანაშალი და მანდატურთუხუცესი მისი უფროსი ძე — ივანე, სუმბატ II-ის მამა.

აქედან გამომდინარე, შ. მესხია ასკენს, რომ სუმბატის ხსენება ბეთანიის მისი სახელითა და სახელითი მოწოდება იმას, რომ ბეთანიის მხატვრობა არ შეძლება შესრულებულიყო 1155 წელზე გვიან, და რომ იგი ეკუთვნის 1128-1155 წლებს.¹³ ჩვენის მხრივ, ისტორიკოსის მონაცემების დასაბამებუბუბუბუბუ, შევიძლია აღვნიშნოთ, რომ, ვინაიდან სუმბატი გამოსახულია ჭალარა თიანის (დასაზუსტებელია მისი კოსტუმი) — მხატვრობა უნდა ყოფილიყო შესრულებული 1155 წლის ახლო ხანებში, ე. ი. XII საუკუნის შუა წლებში. როგორც გამოსახული პიროვნების ასაკი, ასევე მისდამი გამოყენებული ეპითეტი და ტიტული მოწმობენ იმაზე, რომ ბეთანიაში შექმნილია გამოსახული ყოფილიყო გიორგი III-ის თანამედროვე სუმბატ II, ივანეს ძე, ვინაიდან იგი დაილუპა სულ ახალგაზრდა, მაშასთან ერთად, 1177 წელს და, ამდენად, ვერ მოასწრო გამდარბიყო ვერც „დიდი“ და ვერც „მანდატურთუხუცესი“, რადგან შეთქმულების პერიოდში ეს სახელი მამამისს ჰქონდა. არავითარი სხვა სუმბატი. მით უმეტეს მანდატურთუხუცესი, არ ყოფილა შემდეგშიც, თამარის დროს (მათი სახელები და რიგი ამ თანამდებობაზე ზუსტადაა დადგენილი).

ამგვარად, გამოდის, რომ ბეთანიის შმენებელი (ამაზე მიუთითებს მის ხელში გამოხატული ეკლესია), რომლის დროსაც იგი მოხატეს, თუნდაც ნაწილობრივ — სუმბატ ღიღი იყო, მანდატურთუხუცესი და ამირანაშალი.

ლარი, და როგორც ეკლესიის აშენება, ასევე მისი მოხატვა XII საუკუნის შუა წლებში მომხდარა. შეთქმულების ვახსნის, მისი მონაწილეთა მოსპობისა და დარჩენილ ორბელთა გადღვინის შემდეგ, 1177-1178 წლებში გიორგი III-მ ბეთანია სამეფო საკუთრებად აქცია. სწორედ მაშინ ტაძარი ხელმოწოდებ მოიხატა და ორბელთა საქტიტორო პორტიკეტის პირდაპირ (ცხადია, რომ აქ სუმბატე წარმოდგენილი იყო თავის სამ ვაიშვილთან ერთად) გაჩნდა ფეოდალებზე გამარჯვებული მეფის ოჯახის გამოსახულება. შ. მესხიას დასკვნით, „ბეთანია, როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლებისა და დიდ ორბელთა საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლების ბრძოლისა და გიორგი III-ის გამარჯვების ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენდა“.¹⁴

უნდა აღინიშნოს, რომ პორტიკეტთა შემონახვის სხვადასხვა ხარისხი (ფეოდალთა — ცუდი, მეფეთა — შვენიერი) მეტყველებს როგორც იმაზე, რომ ისინი სხვადასხვა დროსა შესრულებული (სხვადასხვა ფერები, სხვადასხვა შემაჯავშირებელი ნივთიერებანი), ასევე, შესაძლოა, იმაზეც, რომ მეფის ხელისუფლების მიერ შენარჩუნებული იყო დემეტრე I-სა და გიორგი III-ის ერთგული თანამოსაგრე დიდი სუმბატის გამოსახულება და წაიშალა პორტიკეტები შეთქმულების მონაწილე მისი შეილებისა, რომელთაგან ივანე, ამირაპასალარი და მანდატურთუხუცესი სკევილითი იქნენ დასჯილი, ლიპარიტმა კი, ქართლის ერისთავმა და ამილახორმა (შ. ამირანაშვილის მიხედვით) ირანში დაქცევითი უშველა თავს (სწორედ მისით დაიწყო ორბელთა ის, შემდგომში გასომხებული შტო, რომლის წარმომადგენელია ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი). იმ დროს, როცა, სტეფანოზ ორბელიანის თქმით, მეფის ბრძანებით ყველა ისტორიულ წიგნსა და საბუთთში, ასევე ეკლესიებშიც, წაშლილი იყო ორბელთა სახელები,¹⁵ ვადაჩხა დიდი სუმბატის გამოსახულება. რით შეიძლება ეს აიხსნას, თუ არა მის მიმართ გიორგი III-სა და თამარის განსაკუთრებული განწყობილებით. (თუმცა, როგორც ჩანს, სტეფანოზი ყოველთვის არ იყო ობიექტური, რადგან, მაგალითად, არ მოიშალა ბასილისა და აბულასანის სააღმშენებლო წარწერა თბილისის „ლურჯ მოხასტრში“, იმ დროს, როცა თვით შვენიერლები განდევნილი იყვნენ საქართველოდან თამარის წინააღმდეგ, მისი პირველი მეუღლის — გიორგი რუსის მხარეს, შეთქმულებაში მონაწილეობის გამო).¹⁶

ამგვარად, ახლა უკვე ცხადია, რომ ბეთანიის ორი ჭგუფური პორტიკეტ ასახავს არა ფეოდალთა განსაკუთრებულ განწყობილებას მეფის ოჯახისადმი (აქ, ალბათ, სწორედ პირიქით იყო), არამედ ბეთანიის მოხატვის ორი



საკუთრების მოხატულება. წმ. ამბროსი.

სხვადასხვა პერიოდის მაჩვენებელი უნდა იყოს. დროის შუალედი მათ შორის დაახლოებით ნახევარ საუკუნეს უდრის.

ჩემს მიერ ჭერ კიდევ ადრე იყო გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბეთანიის დასავლეთის მკლავის მოხატულობა მეფეთა ჭგუფურ პორტიკეტთან ერთად შესრულებული იყო არა თუ სხვა ოსტატის მიერ, არამედ, როგორც ჩანს, უფრო გვიანაც, კიდრე აღმოსავლეთის მკლავის მოხატულობა და, შესაძლოა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავების ზედა ნაწილების მხატვრობა.¹⁷ მაგრამ მათ შორის დროის ასეთ დიდ განსხვავებაზე მაშინ ჭერ კიდევ ძველი იყო ლაპარაკი. გვაქვს თუ არა უფლება და საფუძველი იმისთვის, რომ ვადავთარილოთ ბეთანიის მოხატულობა, მასთან ერთად კი, ბუნებრივია, არქიტექტურაც?

ძეგლის არქიტექტურას, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ჩვეულებრივ XII საუკუნის დასასრულთა — XII-XIII საუკუნეთა მიჯნით ათარიებენ და ათავსებენ ქვათახესა და ფიტარეთთან ახლოს, ეყრდნობიან რა ძეგლთა ფსაადების მიერ უფრო ადრეული



არქიტექტურისათვის (მთელი XI საუკუნე და XII საუკუნის უდიდესი მონაკვეთი, იკორთის — 1172 წ. — ჩათვლით) დამახასიათებელი თაღების დაკარგვის. მაგრამ გვიხსენოთ თიღვა — დავით აღმაშენებლის ასულს, შირვანის დედოფლის თამარის ტაძარი, მის მიერ თავისთვის მონასტრად აგებული 1152 წელს. ამ ნაგებობისათვის ტიპურია ფსაღების მორთულობის საოცარი ლაქონიურობა, უფრო სწორად, მათი დეკორატიული გაფორმების თითქმის სრული უარყოფა იმ დროს, როცა ძეგლის გეგმასა და მოცულობებში უაღრესად მკვეთრადაა გამოვლენილი დროისათვის დამახასიათებელი მომწიფებული „ფერწერული სტილი“.¹⁸ თაღების გარშე აგებული ასევე იკორთის თანამედროვე, იგივე 1172 წელს აგებული, საორბისის ეკლესიაც. ამგვარად, როგორც ჩანს, არაა საკვლევებელი ბეთანიის არქიტექტურაც „მოივარკვეთ“ ზუსტად დროის განსაზღვრულსა და მკითხველს მონაკვეთს, ენიდან, საეარაუდოა, რომ ქართული არქიტექტურის სტილის განვითარება და ჩამოყალიბება მიმდინარეობდა

არა სწორხაზოვნად, არამედ, ვ. ჩუბინაძის აზრით, „სპირალისტურად“.¹⁹ მამასაძის მე, გასარკვევია: ბეთანიის ტაძარი აშენდა იმაზე ადრე, ვიდრე ჩვენ ამას მივიჩნევით, თუ ძველ, ავურის შერბას, უკვე მოხატულს, „ჩაიკვეს“ ახალი პერანგე“, ე. ი. მოხატუვით იმ დროს, როცა გაკეთდა მეფეთა ჯგუფური პორტრეტი? ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვედა მომავალში, რადგან ძეგლი ჯერ კიდევ ელის თავის მონოგრაფიულ გამოკვლევას. თუმცა კი, სპეციალისტთა შეხედულებით, სწორედ პირველი მოსაზრება სავსებით დასაშვებია. ჩვენს წინაშე ამოიანა — მოვიპოვით უფლება აღმოსავლეთის აფსიდის მოხატულობის გადატანისა XIII საუკუნის დასაწყისიდან მომწიფებულ XII საუკუნეში, და მისი მოთავსებისა მიროუს, ძველი ლადოგისა და ნერუზის — XII საუკუნის უზნის შენელოვანეს ძეგლთა წრეში. ესეც მომავლის საკითხებია. ამჯერად კი მიზნად ძალიან მოკლედ აღვნიშნო ის, თუ რა გავქვს სადღესოდ ბეთანიში და რისი იმედი და მოლოდინი შეიძლება ვიქონიოთ.

XII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის მონაკვეთი შეადგენს პერიოდს, რომელიც თანხვედრა ქართული მონუმენტური ფერწერის განვითარების მეორე ეტაპს. და, თუმცა წინა ეტაპთან შედარებით, იგი არ გამოირჩევა რაიმე მკვეთრი და ძირფესვიანი გარდატეხით, ხასიათდება თანდათანობითი და ოდნავ შესამჩნევი ძვრებით კომპოზიციისა და ნახატის მეტი დეკორატიულობისა და დინამიურობისაკენ, რაც სულ უფრო და უფრო იჩენს თავს (ფანისი, ყანჩაეთი, იკორთა) და XII-XIII საუკუნეთა მწიქნისათვის ქმნის მონუმენტური ფერწერის ახალ სისტემას. ძეგლთა ჯგუფი — ვარძია, ბეთანი, ყინცივისი, ბერთუბანი და მათი მომდევნო ტიპოტესუბანი, ოხანი და ახტალა (I ფენა) — წარმოგვიდგენს ამ ახალი სისტემის როგორც ზოგად თვისებებს, განვითარებაში, ასევე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მისი გამოვლენის არაჩვეულებრივ მრავალფეროვნებას.

ვ. ჭურჩი ვარძიის ფერწერის შესახებ აღნიშნავს: „აქ საქმე გვაქვს უმაღლესი დონის ნამდვილ „სამოავრო“ („господское“) ხელოვნებასთან“, და, „...ქართველი მხატვრები... ბიზანტიური ტენდენციების ავანგარდში იდგნენ“¹⁹ — ვფიქრობთ, მკვლევარის ეს სიტყვები გავიმეორით ეპოქის ყველა წამყვანი ნიმუშის მისამართით. თითოეული ამ ძეგლთან — უმაღლესი რანგის ნაწარმოებია, რაც, სხვათა შორის, მეტყველებს, როგორც შემსრულებელთა და დამკვეთთა მაღალ კულტურულ დონეზე, ისე ამ დახვეწილი და მოწინავე ხელოვნების თანაბარ გავრცელებაზე.

ჩრდილოეთ მკლავის მოხატულობა, „თამარ მეფე და დედოფალი დედოფალი“.



მაგრამ ყოველი მათგანი, სწორედ თავისი მაღალი დონის წყალობით არაჩვეულებრივად თავისებურია, ინდივიდუალური, გახუმერებული.

ძველთა იკონოგრაფიული პროგრამა მისდევს ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებულ, ტიპურად ქართულ სქემას, როცა გუმბათში გამოსახული ჭვარი, აფრეგო — მხარებელთა ნახევარფიგურები მედალიონებში, ანველოზთა თანსლებთ, საკურთხეველის აფსიდის კონქში ღვთისმშობელი ყრმით, ჩრდილოეთისა და სამხრეთ მკლავებში ქრისტეს ცხოვრებისა და ენებათა სკენები, დასავლეთ მკლავში კი — „განკითხვის დღე“. მაგრამ ეპოქის ყოველი ძველი იძლევა ძირითადი სქემის ვარიანტს (ბეთანიაში, მავალთად, კონქში „ვედრება“, ყინცისში — „განკითხვის დღის“ მაგივრად ცალკეული ძველი ალთქმისა და წმინდანთა „ცხოვრების“ სკენებია), რომელიც მისადაგებულა დარბაზული ტიპის ეკლესიებისადმიც კი (ვარძია, ბერთუბანი); ყოველ მათგანში ხაზგასმულია საკუთარი წამყვანი იდეა.

ბეთანიაში გუმბათისა და ოთხივე მკლავის კამარის ფერწერა დაიღუპა. ქვედა ნაწილებში იგი ავტებული იყო ორი ძირითადი ცენტრის — ტეტრითა პორტრეტების ორგვლივ, აქედან მეფეთა პორტრეტები, ჩრდილოეთის მკლავში, პირველი ხედეგოდა თვალში მნახველს (შესასვლელი სამხრეთიდანაა). პორტრეტები, რომლებიც გამოირჩევა ხაზგასმული მონუმენტურობით, ორი მხრიდან შემოსაზღვრულია წმინდა მეომართა გამოსახულებებით. ისინი თითქოსდა თან ახლანს და იცავენ სამეფო ოჯახის წევრებს. თამარი წარმოდგენილია მამისა და ძის შუაში. უფრო თამარის სახეში შეიმჩნევა გარკვეული პორტრეტული ნიშნები, რომელთა თვალის გადავლება შესაძლებელია მის ოთხივე პორტრეტში (ვარძია, ბეთანია, ყინცისი, ბერთუბანი), გიორგი III-ის სახე გადაწყვეტილია პირობითად: მხატვარი, რომელსაც, როგორც ჩანს, არ ენახა მეფე სიციცხლში, მას წარმოვიდგინებთ ჭალარა მოხუცის სახით, გიორგი III კი გარდაიცვალა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა (იხ. მისი პორტრეტი ვარძიის 1184 წლის მოხატულობაში).

განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა თამარის სახე: ეს არის ვარძიიდან ჩვენთვის უკვე ნაცნობი, მშვენიერი და ოდნავ ნაღვლიანი სახე ცხოვრებისაგან ნაცადი ადამიანისა. სამეფო სამოსლის ოქროთი შეფერილი თეთრი-ლურჯი-სინგურის ლაქები, სიმკაცრე და სიმშვიდე ჭკუფისა, რომელიც მკვეთრად გამოიყოფა ბაც ნაცრისფერ ფონზე (დანარჩენი სკენებში ფინი მთვრცხლისფრო ლურჯია), განსაზღვრავენ მთელი ანსამბლის ხასიათს. ფერწერის კოლორიტი ავე-

ბულია მონაქრისფრო ლურჯის, ნაცრისფერების, კაჟკაჟა ლაზურის, ვაისფერების, სინგურისა და თეთრის ხალისიან შეხამებულზე, მასთან კონტრასტში განსაკუთრებით გამჭვირვალედ და დახვეწილად ეღვწის პერსონაჟთა ჩაცმულობის ბაცი ვარდისფერი, მწვანე, ცისფერი, იმ მცირე ზომის კომპოზიციებში, რომლებიც შეკომოდან მეორე რეგისტრიდან იწყება და ფარავს კელებს.

ანსამბლი სამ ნაწილად იშლება. პირველი წარმოდგენილია აფსიდის მოხატულობით, რომლის კონქში „ვედრების“ კომპოზიციის ფრაგმენტებია შემორჩენილი. მის ქვემოთ კი სამ რიგად წინსწარმეტყველთა, მოციქულთა და ეკლესიის მამათა გამოსახულებებია, ის ფერწერა, რომლის კომპოზიციაშიც შემონახულია სამხრეთ საქართველოს X-XI საუკუნეთა ძველების აფსიდების მოხატულობის აღდებული სქემა, ძალიან მაღალი კლასისა და შესრულებულია XII საუკუნის ტრადიციით. მისი შემსრულებელი ოსტატი მანერა უაღრესად რაფინირებულია. ზედა ორი რეგისტრის საკმაოდ ძლიერ და ელვანტურ მოძრაობაში მოცემული ფიგურები დახვეწილია, მათი შემკვერელი კონტური მოქნილია და ფაქიზი; ქვედა რეგისტრის ფიგურები კი — ეკლესიის ძამები და დიაკვნები — ანფასში გამოსახული, მაგრამ უკვე სხვადასხვა დონეზე, წერის მანერით თითქოსდა მიასლოებული კარგ ხატწერასთან, მოწმიდენ იმას, რომ ოსტატისთვის ფერწერის არც ეს ტექნიკა იყო უცხო. აქ პორტრეტული სახეები ძალიან ბრძოლავდა დაწერილი მუქ ამოწვანო-მოყავისფრო „სარჩულზე“ (caixura), როცა მოცულობები იძერწება შუქ-ჩრდილის შეუმჩნეველი გადასვლებით, მკვეთრი ათინათის გარეშე. ვასაოცარია კედლის მხატვრობის ამ ძველნი თემებისა და წვერულავის ფილოგრაფიული დამუშავება (შევიდართ ამ მხრივ ყანჩათის საკურთხეველის აფსიდის მოხატულობას). ეკლესიის მამათა სამოსელი სრულიად სიბრტყობრივადაა გადმოცემული, ნაკეცი „მხტვრევილი“ და გამჭვირვალე, დეტალები გულდასმით დამუშავებული, აღნიშნულია წიგნების შესაკრავებიც კი და, ბოლოს, ფერწერის ფაქტურა, თითქოსდა გაკრიალებული, მკვერვი ზედაპირით, კიდევ უფრო მყარ კავშირს აწყობს კედლის და დაზურ ფერწერას შორის. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას აფსიდის წარწერების არაჩვეულებრივ სილამაზეს, მათი პალეოგრაფია არ სცილდება XII საუკუნის საზღვრებს.

ჩრდილოეთისა და სამხრეთ მკლავების მოხატულობა ზედა რეგისტრებში სხვა ოსტატს ეუფენის. აქ სინგურის ვიწრო ზოლებით ერთმანეთისაგან განცალკევებულია საშუალო, ანდა მცირე ზომის კომპოზიციებისა

და წინასწარმეტყველოა გამოსახულებების დიდი რაოდენობა. დამახასიათებელია ის უპირატესობა, რომელიც ენიჭება ძველი აღთქმისა და ქრისტეს ენებათა სცენებს (მაგალითად, სამხრეთის მკლავის მთელი ზედა რეკონსტრუქციის ეთმობა წინასწარმეტყველოა და მართებულთა გამოსახულებებს, ანდა ძველი აღთქმის ისეთ სიუჟეტებს, რომლებიც ღვთისმშობელთანაა დაკავშირებული, როგორცაა „იაკობის მიერ კიბის „ხილვით“, მოსე მაცაელის წინაშე“ და სხვ. ჩრდილოეთის მკლავის მთელი, ქვემოდას მორე, რეკონსტრუქციის უპირატეს „ენებების“ სცენებს, კერძოდ, „ჯვრის ტვირთვას“, „ჯვრის შემზადებას“, „ჯვარცმას“, „ჯვრიდან გარდამოსხმას“, „ქრისტეს დატვირებას“, იმ დროს, როცა ისეთი მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი სიუჟეტები, როგორცაა „საიდუმლო სერობა“ და „ფერხთა ბანა“ მოთავსებულია სარკმელების ხეგრელობების სიბრტყეებზე, სადაც ისინი არც იკითხება (ეს არის მონუმენტალობის პრინციპიდან აშკარა გადახვევის მაგალითი). ნახატის სიმკაცრე, თავდაპირილობა, ლაქონიურობა, სიმკვეთრე და, ასევე, მასშტაბების გონივრულად შეხამება საშუალებას აძლევს ოსტატს სცენებში თავიდან აიცილინოს გადატვირთულობა და შეინარჩუნოს სივრცის უფეროვნება. ხოლო ამა თუ იმ დეტალის რიტმული განმეორება (ჯვარი, მთები, ბალდაქინების გაფრიალებული ფარდები — ეს არის მათის სახარების — XXVII ს — ზუსტი ილუსტრირება, როცა ლაპარაკია გახეთქილ კლდეებსა და „გამობილ“ ფარდებზე) საფუძველს უქმნის მისი შემოქმედების გარკვეულ დეკორატიულობას. ამ ოსტატის ფერწერა უნებლიეთ გვაგონებს ხელნაწერთა მინიატურებს.

მესამე ოსტატს ეკუთვნის დასავლეთის მკლავის ფერწერა ქრისტეს სასწაულებისა და „განკითხვის დღის“ (ორივე შემონახულია ფრაგმენტების სახით), წმ. ზოსიმეს მიერ „მარიამ მეგვიბტელის ზიარებისა“, „პეოროდეს ღვთისა“ და ცალკეულ წმინდანთა ფიგურების გამოსახულებებით. მასვე, როგორც ჩანს, ეკუთვნის მეფეთა პორტრეტები, თუ კი ავითვალისწინებთ წმინდა მეომართა ჩაცმულობის მისთვის დამახასიათებელი მანერით დამუშავებას. ეს ოსტატი სულ სხვა ბუნებისაა. მკვეთრად გამოვლენილი მონუმენტალისტი, იგი არ ზრუნავს „განკითხვის დღის“ ცალკეული სიუჟეტების განლაგების სიმეტრიულობაზე და სრულიად არ უწყევს ანგარიშს სხვა მკლავების ფერწერის ხასილას. მათ შორის მეტისმეტმა განსხვავებამ თავის დროზე საბაბი მოგვცა გამოკვეთილი მოსაზრება, რომ დასავლეთის მკლავის ოსტატმა ბეთანიაში სამუშაოს თავისი წილა შე-



სამხრეთ მკლავის მოხატულობა, დიდი სუმბატ მანდატურფხუცესი.

დასავლეთ მკლავის მოხატულობა, წმ. ზენონ.



ასრულა უკვე იმის შემდეგ, რაც მისმა კოლეგებმა მუშაობა დაამთავრეს.

დასავლეთის მკვლავის ოსტატი ჩვენ გვესახება არა მარტო სრულიად სხვა სახელოსნოს, არამედ მხატვართა სხვა თაობის წარმომადგენლადაც. მისი წერის მანერა თავისუფალია, ლილი, მონუმენტური სტილი არ შეესატყვისება დანარჩენი მოხატულობის დახვეწილობასა და ერთგვარ დანაწევრებას (საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მისი ფიგურები ზომით ბევრად კუბობუნებულ სახეობისაა და ჩრდილოეთის მკვლავის ფიგურებს, რის გამოც დასავლეთ მკვლავისთვის თავიდანვე ჩაფიქრებული „განჯითხვის დღის“ კომპოზიცია ექ მხოლოდ ნაწილობრივ დედება, იძულებით დაუთმო რა ადგილი ცალკეულ წმინდანთა ფრონტალურ გამოსახულებებს). ხოლო მისი აზროვნების დათუფილებლობა რიგ კითხვას და ექვემდებარებს. რით აიხსნება „უგულუვებელყოფა“ ყოველივე იმისა, რაც იქმნებოდა მის გვერდით? ანდა იმისა, რაც შეიქმნა მასზე ცოტაოდენ ადრე? ხომ არ მეტყველებს მისი „ნიჰალიზმი“ იმაზე, რომ მუშაობდა უფრო გვიან, ვარკვეულ შედეგის შემდეგ? სრულიად სხვა სახელოსნოში აღზრდილმა ახალგაზრდა ოსტატმა მონუმენტალისტობა ჩანს, თავი აარიდა ძველ, უკვე დრომოკმულ მანერას, ანგარიში არ გაუწია ფერწერის მითლიანობის დაცვას, სხვა თაობის წარმომადგენელს, მას უკვე აღარ შეეძლო ემუშავა ისე, როგორც მუშაობდნენ მისი წინამორბედები (გაიხსენეთ იგივე მოვლენა იკვის მოხატულობაში, სადაც დასავლეთის მკვლავის ფერწერა მეკეთრად ამოვარდნილია ანსამბლიდან). ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ იგი მუშაობდა უფრო გვიან და სრულიად დამოუკიდებლად, ამჟრის ხელშეწყობის მითხოვნების გათვალისწინების გარეშე, ეინიანდ ფერწერა რომ ერთდროულად შექმნილიყო, არა გვეკონია, წამყვანი ოსტატი დათანხმებულებით მის ცალკეულ ნაწილთა შორის ასეთ შეუწყობლობაზე. თუკი მეფეთა პორტრეტებს ამაკი, დასავლეთის მკვლავის ოსტატს მივაკუთვნებთ, ჩანს, სწორედ ის მუშაობდა ბეთანიაში 1207 წელს.

აღბთ ხშირი როლია შემთხვევა, როცა მოხატულობის ერთი ანსამბლი შესაძლებლობას იძლევა ვარკვეულ დროის მანძილზე გავადენოთ თვლი იმ სტილის განვითარებას, რომელშიც სინთეზირებულა ფერწერის სხვადასხვა დარგი — მონუმენტური მხატვრობა, დახვეწი და მინიატურები. ბეთანის მოხატულობა წარმოვიდგინო ასეთ ბედნიერ შემთხვევას. ამიტომ მას, როგორც ჩანს, მარტოც კი ძალუქს ვადაგვიშალოს XII საუკუნის მეორე ნახევრის — XII-XIII საუკუნეთა მიჯნის საქართველოს სისხლსაცე მხატვ-

რული ცხოვრების სურათი, დაგვანახოს მისი არაჩვეულებრივად მაღალი შემოქმედებითი აქტივობა.

შ ე ს ი შ ე ს ი შ

1 სტეფანოზ ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები ვაშლისაგანდ მოამზად, შესავალი და საძიებლები დაერთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1978, გვ. 37.

2 ე. ცაგარეიშვილი, *op. cit.*, გვ. 10.

3 P. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели. Окрестности Тбилиси, Тбилиси, 1960, стр. 84. ლ. რჩეულიშვილი. თიღვა, შირვანის ელიდოფლის თამარის აღმშენებლობა, თბილისი, 1960; В. Беридзе. Грузинская архитектура с древнейших времен до начала XX века. Тбилиси, стр. 56.

4 P. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели *უკ. соч.*, стр. 84-85, таб. 24; 3. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. 2, თბილისი, 1978, გვ. 10.

5 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 2, თბილისი, 1948, გვ. 265; Т. В. Вирсаладзе. Фресковяз росписи Микаела Магლაკели в Маджварши. *Ars Georgica*, т. IV. Тбилиси, 1956, стр. 180.

6 Г. В. Алибегашвили. Четыре портрета царицы Тамары. Тбилиси, 1957, стр. 25; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 283.

7 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941, გვ. 49.

8 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 282-283.

9 ლ. მეღვინე-ბეგი. ლივ-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნები, ტ. 108, თბილისი, 1964, გვ. 319.

10 ჭორიკიონის აღნიშვნის მიხედვად, შ. მესხია ამ წარწერას უფრო აბრეულად მიიჩნევს. იხ. შ. მესხია. სომხეთი პოლიტიკური ვითარება და საზოგადოებრივი XII საუკუნის საქართველოში. თბილისი, 1979, გვ. 16.

11 ს. კაკაბაძე, „ეფესოსტაქსის“ 1927 წლის გეოლოგის შესავალი, გვ. XXXVII.

12 შ. მესხია, *op. cit.*, გვ. 13-17.

13 შ. მესხია, გვ. 17.

14 შ. მესხია, გვ. 15.

15 სტეფანოზ ორბელიანი, გვ. 29-30.

16 ე. ბერიძე, ლური მონასტერი, *Ars Georgica*, 2, თბილისი, გვ. 240-241.

17 ე. პრივალოვა, XII-XIII საუკუნეთა მიჯნის მონუმენტური მხატვრობის შესახებ. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 1977, გვ. 9; ე. პრივალოვა, ტმთიუსუბნის მოხატულობა, თბილისი, 1980, გვ. 122-124, 132-134.

18 ლ. რჩეულიშვილი, თიღვა, გვ. 102-104.

19 ე. ჭურბიძე, XII-XIII საუკუნეების ბიზანტიური ფერწერა, მოხსენება ბიზანტიკა კონგრესზე ათენში, 1976 წ. (კონგრესის მასალები), გვ. 79-80 (ფრანგულ ენაზე).

აკაკი ზოკამა კინოლოგიკუმენჯეზი

ლია სობაძე

სამართმელის კინოფოტოფონოლოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დოკუმენტულ მრავალ დოკუმენტს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს თეატრალური წარსულის ამსახველ კინომატიანეს. დოკუმენტურმა კინომ შემოინახა გამოჩენილი მსახიობის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ააიი ხორავას ცოცხალი სახე და შემოქმედება. დღეს, ამ შესანიშნავი ხელოვანის დაბადებიდან 85 წლისთავზე, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა ზოგიერთი მათგანის გახსენება.

1935 წელს შეიქმნა დოკუმენტური კინონარკვევი „აკაკი წერეთელი“. ფილმის რეჟისორი იყო ვლადიმერ მიტროფანოვი, ოპერატორი ნიკოლოზ ლისიკინი. ფილმი შექმნილია იმ პერიოდში, როცა ხმოვანი კინო ჩვენში ის-ის იყო იკიდებდა ფეხს. აკაკის ლექსს „ჩემი ხანჯალი“ სინქრონით კითხულობს აკაკი ხორავა.

აკაკი ხორავა დიდი გულისყურით ეკიდებოდა თეატრალური კადრების აღზრდას. მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოს უმაღლესი თეატრალური განათლების კერა — თეატრალური ინსტიტუტი, რომლის პირველი დირექტორი, შემდეგ კი მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის კათედრის პროფე-

სორი აკაკი ხორავა იყო. მსახიობი გატაცებით ეხმარებოდა შემოქმედებით ახალგაზრდობას, ვადასცემდა მათ თავის მდიდარ გამოცდილებას და მაღალ ოსტატობას.

სიუჟეტი, რომელიც შესულია კინოფურნალ „საბჭოთა საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში, გადაღებულია 1939 წელს ოპერატორ გიორგი უსეინაშვილის მიერ. თავის გამოსვლაში ინსტიტუტის პირველი დირექტორი აკაკი ხორავა ულოცავს საზოგადოებრიობას თეატრალური ინსტიტუტის გახსნას. სიუჟეტში ნახვევებია პირველ ლექტორთა ჯგუფი: აკაკი ვასაძე, ვახტანგ ბერიძე, დოდო ალექსიძე, აკაკი ფაღვა, შოთა აღსაბაძე, მალიკო მრეველიშვილი, ვალენტინა გამსახურდია და სხვები.

თეატრალური ინსტიტუტის მეცადინეობა, პირველი სტუდიების მუშაობის ეპიზოდები, თეატრალური ინსტიტუტის პირველი გამოშვების სტუდენტები: მარინე თბილელი, ნათელა აფაქიძე, დავით ფხაკაძე და ნიკო ჯაღუგიშვილი ეტოუდის შესრულების დროს.

აკაკი ხორავას პედაგოგიურ მოღვაწეობას ასახავს მეორე, არანაკლებ საინტერესო სიუჟეტი გადაღებულ მოგვიანებით, 1951 წელს ოპერატორ გიორგი უსეინაშვილის მიერ, სადაც აკაკი ხორავას ვხედავთ ახლა

უკვე პოპულარულ მსახიობებთან მედია ჩა-
ხავასთან, გიორგი გეგეჭკორთან, ლია ელია-
ვასთან, გურამ საღარაძესთან მეცადინეობის
დროს.

სამამულო ომის მიმდე დღეებში განასახი-
ერა ხორავამ გიორგი სააკაძემ მიხეილ ჭიაჭ-
ურელს ამავე სახელწოდების ფილმში. „ააკა-
ხორავასთან ყოველი ახალი შეხვედრა უდი-
დესი სიამოვნება იყო, რადგან იგი ყოველ
როლზე დაუღალვად, შთაგონებით მუშაობ-
და, ძერწავდა, ქმნიდა. მისი ნიჭის წყალობაც
იყო, რომ ჩემმა გიორგი სააკაძემ მთელი
მსოფლიო მოიხარა, ქართულ კინოხელოვნე-
ბას მილიონები აზიარა“. — იგონებდა რეჟი-
სორი მიხეილ ჭიაჭურელი. კინოფილმ „გიორ-
გი სააკაძის“ გადაღების მომენტები ოპერა-
ტორმა ლევან არზუმანოვმა ფირზე ასახა დ
კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს“ ერთ-
ერთ სიუჟეტად შემოგვიჩინა.

დიდი სამამულო ომის დღეებში აკაკი ხო-
რავას ფრონტის წინა ხაზზე ზებდავთ. იგი
ომახანი სიტყვით ამხნევეს და თავისი შე-
მოქმედებით აღაზნებს მეომრებს ფაშისტ
დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში.
ოპერატორებმა ლევან არზუმანოვმა და მე-
ოტონ ნარიშკინიშვილმა ფირზე ასახეს ფრო-
ნტზე საქართველოს მხატვრული ბრიგადის
სამუფო კონცერტი აკაკი ხორავას ხელმძღვ-
ნელობით.

აკაკი ხორავა იყო იმ დღეეგაციის წევ-
რი, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებ-
ში, ოქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირე-
ბით, ფრონტის წინა ხაზზე გაემგზავრა და სა-
ხელოვან მებრძოლებს მთელი ზურგის სახე-
ლით მიესალმა.

სამშობლოს დაცვის იდეების პროპაგან-
დისკალის და გიორგი სააკაძის როლის ბრწყინ-

ნვალე შესრულებისათვის აკაკი ხორავა 1944
წელს, კინოსტუდიის მუშაკებთან ერთად,
ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ოპერატო-
რებს ლევან არზუმანოვს და ნიკოლოზ ხა-
გორინს არც ეს მოელოდა დარჩა ყურადღე-
ბის გარეშე და ფირზე ასახეს იგი.

რუსთაველის სახელობის თეატრს არაერ-
თი წარმატება ხვდა წილად სავასტროლო მო-
გზაურობის დროს. და აი, 1947 წელს თეატ-
რი საინტერესო რეპერტუარით წარსდგა მო-
სკოლეულ მყურებლის წინაშე. ვასტროლებ-
მა ბრწყინვალედ ჩაიარა. აკაკი ხორავას ოტე-
ლოს დაუსრულებელი ოვაციები გაუმართეს
და როგორც სტატისტიკის მოყვარულნი აღ-
ნიშნავენ, იგი ოცდაათჯერ გამოიყვანეს
სცენაზე. მსახიობები სავასტროლო მოგზაუ-
რობის დროს თან ახლდა ცნობილი ქართვე-
ლი კინოდოკუმენტალისტი გიორგი ასათი-
ანი. მან ფირზე გადაიღო თეატრის მსახიო-
ბები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, თამარ ჭა-
ჭავაძე, გიორგი დავითაშვილი, ემანუელ აფ-
ხაძე, გიორგი საღარაძე, თამარ ბაქრაძე,
სტეფანე ჯაფარიძე, დიმიტრი მყავია, მერა
ჯაჩანაშვილი, რუსუდან ბერიძე ქ. მოსკოვის
დათევილიერების დროს. შემდეგ კი სექტა-
კალი „ოტელიო“, მოსკოველთა დაუსრულებ-
ელი ოვაციები.

1954 წელს აკაკი ხორავა რუსთაველის
სახელობის თეატრში გამართულ უნჯეთ-
საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამოზე
სიტყვით გამოვიდა. ოპერატორმა გიორგი
ასათიანმა ეს მომენტები სინქრონით აღბეჭდა
ფირზე.

აკაკი ხორავა აქტიურად მონაწილეობდა
მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაში. იგი
მრავალი წლის განმავლობაში იყო მშვიდო-
ბის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავ-

აკაკი ხორავა თეატრალური ინსტრუქტორის სტუდენტებთან.



მკდომარე, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის წევრი. არაერთხელ წარმომადგენლობდა საერთაშორისო კონგრესებსა და ფორუმებზე, როგორც მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი.

1955 წელს თბილისში შედგა მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა აკაკი ხორავა. კინოდოკუმენტალისტებმა გიორგი ასათიანმა, ოთარ დეკანოსიმემ, ნიკოლოზ ნავაგინიმ და არტურ პოლოსოვმა ეს საინტერესო მოვლენაც ასახეს ფირზე.

1956 წელს ჩვენმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა აკაკი ხორავას დაბადებიდან 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავი.

მრავალი თბილი სიტყვა ითქვა იმ დღეს იუბილარის მისამართით. იუბილე გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კულტურის მინისტრმა ავთანდილ გუნიამ. აკაკი ხორავას მიესალმნენ და მის დიდ ღვაწლზე ქართული თეატრალური კულტურის აღმავლობაში ილაპარაკეს კრიტიკოსმა ბ. ქუცინამ, მწერალმა გრ. აბაშიძემ, პოეტმა და დრამატურგმა ს. შანშიაშვილმა, უკრაინელმა პროფესორმა ს. ტკაჩენკომ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ზ. გომელაურმა, აზერბაიჯანელმა პროფესორმა რ. თაზ-მასიმ, სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა დ. მალიანმა, პოეტმა ა. აბშილაძემ და სხვებმა. ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე მოგვითხრობს კინოსიუჟეტი «აკაკი ხორავას იუბილე».

აკაკი ხორავას 70 წლისთავს მიეძღვნა დოკუმენტური კინონარკვევი «აკაკი ხორავა», რომელიც მასურებელმა 1966 წელს ნახა ეკ-



მსახიობი ა. კონენი და რეჟისორი ა. ტარიოვი ა. ხორავასთან და ა. ვასაქესთან ერთად სპექტაკლ «ოტელოს» შემდეგ.
 ა. ხორავა და შ. დადიანი მოსკოვში, 1938 წ.
 ა. ხორავა მშვიდობის დაცვის კონგრესზე მოსკოვში.



რანზე. ფილმის ავტორებმა — რეჟისორმა შალვა ხომერტიკმა, ოპერატორმა შალვა შიოშვილმა, კონსულტანტმა ეთერ გუგუშვილმა, ტექსტის ავტორმა ნოდარ გურაბანიძემ, რედაქტორმა ელენე ჰავევაძემ — საინტერესოდ მოგვითხრეს ამ ლეგენდადქცეული ხელოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ა. ხორავა სიყრმის მეგობრებთან — სცენის მოყვარულებთან გრიგოლ თევზაიასთან და ანტონ ნადარეიშვილთან ერთად მდინარე ტეხურას ნაპირზე, მდინარის ზედაპირზე ტივტივდება წარსულის დღეები: პირველი შთაბეჭდილება ლადო მესხიშვილზე, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, მალე თეატრისაკენ მიმავალ გზას მსახიობს ულოცავს შალვა დადიანი, შემდეგ კი ქართული თეატრის ქურუმები კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი.

მონაწილეობა სანდრო ახმეტელის სპექტაკლებში. ფრაგმენტები სპექტაკლებიდან: „ანზორი“, „ლაშირა“, „თეთნული“, „ყაჩაღები“, წარმატებები სპექტაკლებში.

შემდეგ კი აკაკი ხორავას უბადლო „ოტელიო“, როლი, რომელზეც ნემიროვიჩი-დანიჩენიკო წერდა: „მხოლოდ ყველაზე მეტად გამოჩენილ პირველხარისხოვან მსახიობებს შესწევთ უნარი უღრმესად გაგებულ შექსპირის შემოქმედებას ასე საოცრად შეუისხხზოციონ სისადავე, გულწრფელობა და უზარმაზარი ტემპერამენტი“.

სპექტაკლი „ივანე მრისხანე“. შემდეგ კი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში 1958 წელს. დეკადაზე წარმოდგენილი „ოიდიპოს მეფე“, ახალი წარმატებები.

ა. ხორავა, როგორც მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, მისი მგზნებარე გამოსვლები მოსკოვისა და ვარშავის, დელსისა და ლონდონის მშვიდობის კონგრესებზე.

მის მიერ შესრულებული ეკრანული გმირები: გიორგი სააკაძე, სკანდერბეგი. მსახიობის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, საყოველთაო აღიარება თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ცხაქიაში, გუდაუთაში და სხვა...

ზემოთ ჩამოთვლილი კინოდაკუმენტები მხოლოდ ნაწილია იმ მდიდარი კინომასალისა, რომელიც ასახავს აკაკი ხორავას შემოქმედებას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

პრეპრობრაული ეტიუდავი

გურამ შარაძე

წინამდებარე ეტიუდები დამყარებულია XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწისა და მკურნალის მიხეილ გედევანიშვილის (1862-1922) არქივის იმ ნაწილზე, რომელიც დღეს დაცულია მისი ვაჟის — ცნობილი ქართველი ფიზიოლოგის, პროფ. დიმიტრი გედევანიშვილისა და საქართველოს სახალხო არტიტის თამარ ციციშვილის ოჯახში.

მიხეილ გედევანიშვილის სახელს უკავშირდება ილია ჰავევაძის მხატვრულ თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა 1914 წლისა, რომელიც დღემდე სანიმუშოდ ითვლება! ამ გამოცემასთან დაკავშირებული უმდიდრესი არქივი (მათ შორის, ილიას ავტოგრაფები), აგრეთვე, ბიბლიოთეკა და ქართული პერიოდიკა, მისმა მეუღლემ — ახასტასია გედევანიშვილმა 1931 წელს შესწირა გიორგი ლეონიძის ინიციატივით შაშინ ახლადარსებულ ქართველ მწერალთა შთაწმინ-

დის მუხუემს (დღეს — გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუხუემი).

მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი ქართლის ერთ-ერთი უძველესი და წარჩინებული ფეოდალური გვარის (გაბრიელ გედევანიშვილის შტო) ჩამომავალი იყო. მისი წინაპრები მცხეთის სადროშოს სარდლები იყვნენ, ხოლო მუხუელ — ანასტასია კონსტანტინეს ასული კი იოსებ (ბეცია) გედევანიშვილის შტოს ეკუთვნოდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მათ ოჯახში ძველი ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის არაერთი შესანიშნავი ნიმუშია შემორჩენილი. მათ შორის, აღსანიშნავია საკათალიკოსო გარის სარდლისეული ძველი ქართული ლეთისშობლის ხატი (27,5X30) და წმ. გიორგის შანა, რომელსაც პრფ. დ. გედევანიშვილის გადმოცემით, ომში წასვლის წინ შეკიდებდნენ ლეთისშობლის ხატს. აქვეა დაკული ჩუღოივის მონასტრიდან ცნობილი მწერლისა და მოგზაურის იონა გედევანიშვილის მიერ გამოგზავნილი ლეთისშობლის ხატი (ე. წ. Казанская богородица). ძველი ქართული ვერცხლის სურათი ეკუთვნის, სოლომონ იმერტა მეფისა და, მათთან ერთად, შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულებით, რომელიც საინტერესოა პოეტის ავთენტური პორტრეტის ისტორიისა და ტრადიციის გასათავისუფინებლად, აგრეთვე, ოლიგერ უორდრობის წერილი, სპ. პირსალაძის „მოგონება ილიაზე“, რომლის მიხედვით 1905 წელს, ავტონომიის გამოცხადების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატურად დასახელებული იყოილა ილია ჭავჭავაძე, ამასთან, ეგნატო ნინოშვილის ნაქონი რუსულ-უცხოურ ენთა ლექსიონი, ილიას ჭეისლის — დიმიტრი სტაროსელსკის საუთარო ბროლის საბეჭდადი და სხვ. ამგვარად ზოგიერთი მათგანი ჩვენი სავანებო შესწავლის სავანი გახდა.

**1. „მწუხარე საპარტიველოს“
ინსორინსათვის**

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა როლი ითამაშა ჩვენი გამოჩენილი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებით ცხოვრებაში როდინთან გატარებულმა წელმა.² ვფიქრობთ, მას საინტერესო ახალი დოკუმენტური და ბიოგრაფიული დეტალები შევასებებთ მიხეილ გედევანიშვილის მიერ 1907 წლის 8

ივლისს პარიზიდან გამოგზავნილი წერილი მისი მეუღლის ანასტასია გედევანიშვილისადმი, რომელშიაც ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე იწერება: „ვნახე იაკობ ნიკოლაძე — მიამბო თუ რა გაკირვება გამოუვლია. ეხლა მისი საქმე კარგად არი — ცხოვრობს როდინთან და პანსიონის გარდა ეძლევა ჯამგირიც 300 ფრანკი. ზამთარში ცოლის შერთვასაც აპირებს: მდიდარ ქალს იწერს გვარს (თუ არ ატუხუბენი)“. აქვე მიხ. გედევანიშვილი იტყობინებოდა, რომ „ვნახე მჭნიკოვი, გადავეცი ევეხისტყაოსანიო“.³

მიხ. გედევანიშვილის წერილში მოხსენიებულ „ი. ნიკოლაძის მდიდარ საცოლში“ უნდა ვიგულისხმოთ ლილი დე-ველდი, რომელიც ი. ნიკოლაძემ მართლაც როდინთან ყოფნის პერიოდში გამოაქანდაკა „ჩრდილოეთის ასული“ სახელწოდებით (1906-07 წწ., მარმარილო, საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუხუემი), მაგრამ საბოლოოდ იგი მას აღარ შეურთავს. რაც შეეხება ახალ ფაქტს — „ევეხისტყაოსნით“ გამოჩენილი რუსი მეცნიერის ი. ი. მენციკოვის (1845-1916) დიანტერესებას, ცნობილია, რომ 1888 წლიდან სიცილიამდე იგი პარიზში, პასტერის ინსტიტუტში მოღვაწეობდა და იმავ დროს, იოვლელად მონაპარასხე დაარსებულ ახალგაზრდა რუს მხატვართა საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ და მფარველად⁴ მიხ. გედევანიშვილი მას, ალბათ, ი. ნიკოლაძემ გააცნო და „ევეხისტყაოსანიც“ (მ. საქართველოშიცელი მდიდრული გამოცემა, თბ. 1888) მაშინ ვადასცა.

როგორც ვიცით, ამის შემდეგ იაკობ ნიკოლაძე საქართველოში ჩამოვიდა და წერაკოთხვის გამარცხლებული საზოგადოების გამგეობის შეკვეთით შეუდგა ვერაგულად მოკლული ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლზე მუშაობას.⁵ წინასწარი სამუშაოების ჩატარების შემდეგ იგი კვლავ პარიზს გამოგზავრა, სადაც ჯერ (1909 წლის სექტემბრისთვის) თიხიდან გამოქერწა („მწუხარე საქართველოს“ ფიგურა, ხოლო შემდეგ (1910 წლის ივნისამდე) ბრინჯაოში ჩამოსახა და მარსელის გზით საქართველოში გამოგზავნა კიდევ.

საყურადღებოა, რომ მანამდე, 1909 წლის შემოდგომაზე, „მწუხარე საქართველოს“ თიხაში გამოქერწვის შემდეგ, ეს გამოსახულება პარიზში დაუბეჭდავთ საფოსტო-ლია ბარათზე „Douleur de La Georgie“-ს სახელწოდებით, რომლის ერთი სუფთა ცალი დაკულია ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-

მუზეუმში (ორჯონიძის ქ. № 22), ხოლო მეორე ცალი — მიხეილ გედევანიშვილის არქივში (პროფ. დ. გედევანიშვილთან). ეს უჩუბასკნელი გამოგზავნილია პარიზიდან თბილისში, საფოსტო ბეჭდის მიხედვით, მიღებულია 1910 წლის 23 იანვარს, რომელზეც იაკობ ნიკოლაძე წერს მიხეილ გედევანიშვილს: „ძმაო მიწო, ეს ჩემი გაკეთებული ჰეპევაძეს (!) ძეგლისთვის სტატუია არის „საქართველოს მწუხარება“. იმედია მოგეწონება. მალე ჩამოვიტან და ჩამოვალ. მომიკითხე შენი ოჯახობა და ყველა, ვისაც ვახსოვარ. შენი მეგობარი იაკობი, ჩემი ადრესი: 51, Bd St. Jacques 51“.⁶

პარიზში, 1909 წელს, „მწუხარე საქართველოს“, ან, როგორც მაშინ რქმევია „საქართველოს მწუხარების“ გამოსახულებიანი საფოსტო ღია ბარათის დაბეჭდვის ფაქტი მოწმობს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკის ნამუშევარს პარიზის შემოქმედებითი საზოგადოებრიობა. ამასთან ერთად, პარიზში დაბეჭდილი ღია ბარათის გამოსახულება გვეთვალისწინებს „მწუხარე საქართველოს“ თხაში გამოქვეყნდნ პირვეანდელ ორიგინალს, რომლის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

რაც შეეხება მთაწმინდაზე ილია ჰეპევაძის საფლავის ძეგლის არქიტექტურულ ნაწილს, მისი განხორციელება ჯერ კიდევ 1908 წელს დაიწყო. მას აშენებდა იტალიელი ოსტატი ლუჩიანო დე-ბლასი, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის მხრივ ინჟინერ პ. მამრაძის ხელმძღვანელობით (ხელშეკრულება ლუჩიანოსთან დაიდო 1908 წლის ნოემბერში). ძეგლის მშენებლობა დამთავრდა 1913 წლის 20 მარტს, ხოლო იმავე წლის 5 მაისს შედგა მისი საზეიმო გახსნა. ძეგლს საბურჯელო ჩამოხსნა და მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა მსოფიანმა აკადემიკოსმა.⁷

ამას წინათ, ილია ჰეპევაძის თბილისის სახლ-მუზეუმში შეიქცა ახალი ექსპონატებით: ინჟინერ პ. მამრაძის ვეჟა გ. მამრაძემ მუზეუმს გადასცა უნიკალური ფოტოები, რომლებზედაც აღბეჭდილია ილიას საფლავის ძეგლის მშენებლობის ეტაპები და გვივალისწინებს მისი გადაკეთებისა და საზოგადოო სახის მიღების პროცესს. აქვეა სურათი ცნობილი ინჟინრის პეტრე მამრაძისა (1877-1937),⁸ ვინც დიდი ღვაწლი დადო პეტრის ამ ძეგლს, რომელიც, აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, არის „გვირგვინი მწუხარებისა და გულდაწყვეტისა“ და რომელ-



ღვთისმშობლის ძველი ქართული ხატ.

შიც „მთელი შეგნებული ქართველობა იგლოვს და სტირის თავის დაუფიქვარ შვილის დაკარგვას“.⁹

პ. ს. პროფ. დ. გედევანიშვილის ცნობით, იაკობ ნიკოლაძეს ეკუთვნის რუსთაველის პროსპექტზე, ე. წ. მელიქ-ჯანარიანის სახლის ბარელიეფები და ოფიცერთა სახლის კარიატიდები. ამ ფაქტს ყველა შემთხვევაში ანგარიში უნდა ავქიოს.

2. ილიას ერთი ლექსი და მისი აღრახნა

1922 წელს ეყრნალ „ლომისში“ პირველად დაბეჭდა ილია ჰეპევაძის მიძღვნა „ეკატერინე სარაჯიშვილისას“:

„ამ ლექს (!) გიწერ ჩემს სახსოვრად, შიგ გაგიხვევ მე ჩემს გულსა, სიადე (!) ვინახავ, ვით მარგალიტს, შენსა და-ამურ სიყვარულსა“.¹⁰

ამის შემდეგ პავლე ინგოროყვამ აღნიშნული ლექსი უმნიშვნელო ცვლილებებით (ლექსლექსს, სადაცსადე) შეიტანა ილიას თხზულებათა თავის სამივე გამოცემაში ასეთი შენიშვნის დართვით: „ეს ლექსი მიწერილი ყოფილა ილიას სურათზე, რომელიც მას

ეკ. სარაჯიშვილისათვის მიუძღვნია“ (ტ. I, 1925, გვ. 468), „წარწერა ილიას სურათზე, რომელიც პოეტს ეკატერინე სარაჯიშვილისათვის უძღვნია“ (ტ. I, 1937, გვ. 684), „ეკატერინე სარაჯიშვილის სურათზე, რომელიც მას ეკ. სარაჯიშვილისათვის მიუძღვნია. სურათი-წარწერით — ამჟამად დაცულია ტფილისის მწერალთა მუზეუმში“ (იქვე, გვ. 841; შდრ. ტ. I, 1951, გვ. 357, 491).

ვინ იყო ილიას ამ ლექსის ადრესატი — ეკატერინე სარაჯიშვილისა? ამ კითხვას დამწერლებით პასუხობს რევოლუციამდელი ქართულ-რუსული პრესა და პროფ. დ. გედევანიშვილის არქივში დაცული რვეული „ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა (1862-1916)“, რომელიც შეუდგენია მის ძმას ადამ ივანეს ძე ფორაქაშვილს.

პირველ რიგში, საინტერესოა ამ რვეულში (გვ. 7) ჩაწერილი ილიას ლექსის აქამდე ბეჭდურად ცნობილი რედაქციისაგან განსხვავებული ვარიანტი, რომელიც აზრობრივად და პოეტურადაც უფრო გამართულია, და, რაც მთავარია, ავტორის ხელიდან გამოსულ ტექსტს წარმოადგენს:

„ეკატერინე სარაჯიშვილისათვის:
ამ ლექსს გიწერ ჩემს სახსოვრად
და გაგიხვევ შიგ ჩემს გულსა,

წმ. გიორგის შანა ლევისშობლის ხატისათვის.



სად ვინახავ, ვით მარგალიტს,
მე შენს და-ძმურს სიყვარულსა.
ილია ჭავჭავაძე“.

აქვეა შენიშვნაც: „ილიას სურათი ფოტოგრაფია ზედ პოეტის ხელით წარწერით მე შევწირე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს (1916 წ.). ამჟამად ეკუთვნის სალიტერატურო მუზეუმს. ად. ფორაქაშვილი“.

დღემდის ილიას არც ერთი გამოცემის კომენტარში არაფერია თქმული პოეტის ამ ლექსის ადრესატის ვინაობაზე. ამიტომ ინტერესსმომცემელი არ უნდა იყოს ადამ ფორაქაშვილის მიერ შედგენილი თავისი დის მოკლე ბიოგრაფია, რომელსაც აღნიშნული რვეულიდან (გვ. 1-2) აქვე მოვიყვანებ:

„ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა დაიბადა ქ. თბილისში 27 იანვარს 1862 წ. მამამისი იყო ქ. თბილისის საპატია მოქალაქე ივანე ადამის ძე ფორაქაშვილი, დედა — ნატალია იოსებ წილოსანის ასული. იმ დროის კვალობაზე ეკატერინეს საფუძვლიანი აღზრდა-განათლება მიადებინეს: ზრდიდნენ მაშინდელ განთქმულ ფაბრის პანსიონში, მერე განაგრძო სწავლა შინ საგანგებოდ მოწვეულ მასწავლებლებს ხელმძღვანელობით. ეკატერინე ზედმიწევნით იცოდა ჩვეულებრივ საგანთა და სამშობლო ენის ქართულის გარდა უცხო ენებიც: ფრანგული, გერმანული და ინგლისური. გუვერანტკა ჰყავდა ინგლისელი ქალი მის პოპეინი. მის მამიდა ნატალია სულხანიშვილისას დიდი გავლენა ჰქონდა მასზე, რადგან მამიდამ კარგად იცოდა ძველებური ქართული ოჯახის ადათ-წესები და მათი მტკიცე დამცველი იყო. 10 სექტემბერს 1880 წ. გათხოვდა დავით ზაქარაიას ძე სარაჯიშვილზე (1848-1911). ქორწილი იყო ბორჯომში, მეჯვარეებად იყვნენ პროფესორი ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი და რომან დავითის ძე ფორაქაშვილი. ქმართან ერთად ეკატერინე მსხრუვალე მონაწილეობას იღებდა ყველა ქართულ საზოგადოებრივ საქმეში. ოღონდ თადეოზის ასული ჭავჭავაძისა მას ხშირად ჰპატივებდა დიასახლისად იმ სალამოებზე, რომელსაც იგი მართავდა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების სისარგებლოდ.

ქმრის სიკვდილის (1911 წ.) შემდეგ, თანახმად მისი სურვილისა და ანდერძისა, ჩაღვა სათავეში მის სამრეწველო საქმეში და წარმოება არა თუ შეამცირა, გაასამკვეცა და ყველაფერში თვით მონაწილეობას იღებდა და საქმეს გონივრულად მართავდა. მის

დროს ფირმამ „დ. ზ. სარადევე“ მიიღო საპატენტო წოდება: **Поставщик двора Е. В.**

გარდაიცვალა [კისლოვდსკიდან ტფილისის მომავალი მღვთს] 5 აგვისტოს 1916 წ. და დასაფლავებულ იქმნა 11 აგვისტოს დიდუბის პანთონში აუარებელი ხალხის თანდასწრებით. 1 დეკემბერს 1939 წ. მისი და მისი ქმრის დაითვის ნეშტი გადატანილ იქმნა ვაკის სასაფლაოზე“.

ილიას გარდა, ეკატერინე სარაიშვილისათვის სხვადასხვა დროს ლექსები მიუძღვნიათ აკაკის (1904 წ.), სანდრო შანშიაშვილს (1913 წ.), ხოლო მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საგულსხმო მასალები გამოქვეყნდა იმდროინდელ ქართულ ეურნალ-გაზეთებში: „სახალხო ფურცელი“ (1916, № 644, 645, 647), „საქართველო“ (1916, № № 176-180, 182, 186, 188, 202), „თეატრი და ცხოვრება“ (1916, № № 33-34), „ჭეჭილი“ (1916, № № 7-8), რომელთა ავტორებია იოსებ იმედაშვილი, პოლიევქტ კარბელაშვილი, სოსიკო მერკვილაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, ანასტასია წერიტელი, ნინო ყიფიანი და სხვ. ცალკეული წერილები გვხვდება რუსულ პრესაშიც: იხ. «Закавказ. речь» (1916, № 181—182), «Вестник виноделия» (1916, № 9—10).

აღნიშნულ მასალებში მიმოხილულია თავის ქმართან — ცნობილ ქართველ მრეწველთან და მეცენატთან დავით სარაიშვილთან ერთად და მისი გარდაცვალების შემდეგ ეკატერინე სარაიშვილის საქველმოქმედო მოღვაწეობა და დაუცხრომელი ზრუნვა ქართული კულტურის სასარგებლოდ. ანდერძით (იგი უძეოდ გადაეგო), მისი დიდძალი ქონება (რამდენიმე მილიონის ღირებულებისა) დარჩა ძირითადად სამ ეროვნულ საზოგადო დაწესებულებას: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასა და ქართულ დრამატულ საზოგადოებას, ხოლო მის საკუთარ სასახლეში (ყოფ. სერგეევის, ამჟამად ივანე მაჩაბლის ქუჩაზე № 13) ახლა საქართველოს მწერალთა კავშირია მოთავსებული.¹¹ რაც შეეხება რთინიშვილის გადაღებულ ილია ჭავჭავაძის ფოტოსურათს, ეკატერინე სარაიშვილისადმი მიძღვნილი ლექსის ავტორგაფით, დღეს დაცულია არა ლიტერატურულ მუზეუმში, როგორც ამას პ. ინგოროყვა და ა. სტეფანიშვილი მიუთითებენ, არამედ ილიას საფურამოს სახლ-მუზეუმში.¹²

საინტერესოა, მაინც რა იყო წყარო ილიას

აღნიშნული ლექსის ბეჭდური (როგორც „ლომისის“, ისე პ. ინგოროყვას) გამოცემისა? როგორც ვნახეთ, პ. ინგოროყვა ყველგან პოეტის სურათზე გაკეთებულ ავტოგრაფულ წარწერას მიუთითებს, მაგრამ ეს ავტოგრაფიანი სურათი სინამდვილეში ა. ფორაქაშვილისეულ ვარიანტს მისდევს (სხვათა შორის, ილიას თხზულებათა I ტომის 1937 წლის გამოცემაში, რომელიც პ. ინგოროყვას თანარედაქტორობით გამოვიდა, სწორედ ილიას ეს სარაიშვილისეული სურათია დამბეჭდილი, რომელზედაც ძნელად, მაგრამ



იაკობ ნიკოლაძის წერილი მიხეილ გელვანიშვილისადმი.

ი. ნიკოლაძე. „მწუხარე საქართველო“, თბიბა, პარიზი, 1909 წ.

მაინც იკითხება ილიას ლექსი, თვითონ გამოცემაში კი მის გაუთვალისწინებლად სულ სხვა რედაქციაა დაბეჭდილი).

როგორც ირკვევა, ილიას ლექსის ეკატერინე სარაიშვილისას აქამდე ცნობილი ყველა ბეჭდური გამოცემის წყაროა ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ვარიანტი, რომელიც მუყაოზეა ნაწერი თვითონ პოე-

ტის მიერ და ახლავს ილიას ცნობილი ფაქსი-
მილე,¹³ ხოლო ეკ. სარაჯიშვილისათვის ნა-
ჩუქარ ფოტოსურათზე წარწერილი ავტოგრა-
ფი უნდა მივიჩნიოთ ძირითად ტექსტად და
ილიას ახალ აკადემიურ გამოცემასში სწო-
რედ იგი უნდა შევიტანოთ.

**მ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა
1914 წლის მის. გადამანახვითი-
საშუალო გამოცემის მოკლე ისტორია**

გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმ-
წიფო ლიტერატურის მუზეუმში დატულია



ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის
მიხედვით გედევანიშვილისეული გამოცემის
მოკლე ისტორია და ანგარიში, რომელიც
თვით გამოცემელს 1915 წლის მარტში შეუ-
დგენია¹⁴ და ამ გამოცემის ბევრ ბნელით
მოკლე საკითხის ჰვენს შუქს. აქ გეტქდავთ
მხოლოდ ისტორიას (ანგარიშის გარეშე):

„ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგე-

ბო გამოცემა, ცოტაოდენი გამოჩაყლისით,
საბოლოოდ დაუბრუნდა ხელის მომწერელს
და გამოცემლობას შეძლება მიეცა ქართულ
საზოგადოებას ამცნის გამოცემის მოკლე
ისტორია და ანგარიში.

საქმის დაწყებისთანავე გამოცემელი
მხოლოდ კულტურულ და საზოგადოებრივ
მიზნებით ხელმძღვანელობდა და სწორედ
ამიტომ მიმართა ცნობილ პირთ რჩევა-დახ-
მარებისათვის. შესდგა მის. გედევანიშვილის
მეთაურობით და მატერიალური პასუხისმგე-
ბლობით განსაკუთრებული სარედაქციო კო-
მისია, რომელშიც მოწვეულნი იყვნენ: გ. ლა-
სხიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ი. ფინცხვაია, ივ.
გომართელი, გრ. ყიფშიძე (გადახაზულია,
გ. შ.), ი. ზურაბიშვილი, კიბა აბაშიძე, ი. გე-
დევანიშვილი და ნ. ჩიკოვანიძე (ჩამატებულია,
გ. შ.). კომისია საჭიროებისამებრ იწვევდა
რჩევისათვის ამა თუ ამ საკითხის გარჩევის
დროს მცოდნე პირებს და სპეციალისტებს.

კომისიის კრებები კვირაში ერთხელ და
ზოგჯერ ორჯერაც იმართებოდა. პირველი
კრება შესდგა 1912 წლის 26 თებერვალს
და კომისიამ იმათათვის საჭიროდ სცნო თვით
კომისიის მუშაობის წესიერად წარმოება და
მისი რეგისტრაცია. იწერებოდა ყოველთვის
ოქმები კომისიის ყველა წევრის ხელმოწე-
რით. ეს ოქმები რიგზე დალაგებული და
აქინებული გამოცემლობაში ინახება. იქვე
ინახება ყოველგვარი დოკუმენტები, ანგარი-
შები და მიწერ-მოწერა, რომელიც თვით
საქმის წარმოებას შეეხებოდა.

კომისია მსჯელობდა და ზრუნავდა რო-
გორც გამოცემის ლიტერატურულ, მხატვ-
რულ, აგრეთვე მის მატერიალურ მხარეზე-
დაც. ფულის შემოსავალ-გასავლის ანგარი-
შებს ისმენდა და ადასტურებდა ყოველთვი-
ურად, ხელის მომწერელთაგან შემოსული
ფული ინახებოდა სასოფლო-სამეურნეო ბან-
კში მიმდინარე ანგარიშში. საქმის დაწყების-
თანავე კომისია იმ აზრს დაადგა, რომ გამო-
ცემა გარეგნობით, მასალის ღირსებით და
შეკეთებით სათანადო გამოსულიყო და
ამასთანავე მისი ღირებულება შედარებით
ხელმისაწვდომი ყოფილიყო. განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება კომისიამ წიგნის ღირებულე-
ბას მიაქცია; ბევრი გამოცველის, აწონ-
დაწონის, მასალის შეფასების, სპეციალისტ-
თა გამოკითხვის და ლიტერატურული მასა-
ლის რაოდენობის მიხედვით, კომისიამ წიგ-
ნის საფასური რვა მანეთით განსაზღვრა. ამა-
ზე ნაკლებად წიგნის მიწვევდა შეუძლებლად

სენო, კომისია მიიწვი შიშობდა, რომ ძიუხუ-
დავად დაწერილობითი გამოანგარიშებისა,
გამოცემის ზარალი მოეღოსო და მართლაც
ზარალით დამთავრდებოდა, რომ შრომის დი-
დი ნაწილი უფასოდ და უსასყიდლოდ არ გაე-
წიათ თვით გამომცემელს, კომისიის წევრთ
და წიგნით ვაგრცელებათაც აგენტები უფა-
სოდ არ დახმარებოდნენ გამომცემლობას.

საბედნიეროდ, ეს შიში არ გამართლდა,
რადგანაც საზოგადოებაც გამოცემის თანა-
გრძნობით დაუხვდა და ხელის მომწერელთა
რაოდენობის რიცხვი მსოფლიოდნელს აღემა-
ტა.

იქ, სადაც ხელის მომწერელთა რიცხვის
რაოდენობა 1500-2000-ით ისაზღვრება, წიგნი
შეღარებოთ ძვირი ჯდება. კომისიას კარგად
ესმოდა, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის რვა
მანეთიანი წიგნი ძვირია, მაგრამ თუ კი ხარ-
ჯის დაფარვა საჭირო იყო, ამაზედ იაფად
წიგნი ვერ გამოიციემოდა. საბოლოო ზედმი-
წვენიით ანგარიშით, როგორც ეს ქვემოდ
სჩანს, თვით გამომცემლობას წიგნი 7 მ.
22 კაპ. დაუჯდა.

ბევრი დაბრკოლება და სიძნელე დაუხვ-
და კომისიას და გამომცემლობას წიგნის და-
სურათებში. გარდა მისი მხატვრული მხა-

რისა, თვით ტექნიკა სურათების დაბეჭდვი-
სა, კლიშეების დამზადებისა ჩვენში ჯერ-
ჯეროთ იმდენად განუვითარებელია და არა
ხელსაყრელ პირობებში, რომ კომისია იძუ-
ლებული იყო კლიშეები და ფოტოტიპები
რუსეთში, პეტროგრადში, დაეშაადებინა
(დიდრონი სურათები დაბეჭდვითაც პეტრო-
გრადში დაიბეჭდა).¹⁵ რა თქმა უნდა, სურა-
თების გაგზავნაში და მათი და კლიშეების
გამოგზავნაში დახარჯული ფული ზედმეტ
ხარჯად ედებოდა გამოცემას. უფრო მძიმე
პირობებში თვით სურათების დამზადება უხ-
დებოდა კომისიას. ქართულმა მხატვრებმა,
რომელსაც კომისიამ მიმართა, არ იყისრა
სურათების დამზადება და კომისია იძულებ-
ული გახდა, მოქანდაკე ნიკოლაძის რჩე-
ვით, უცხოელ მხატვრისათვის¹⁶ მიემართნა,
რომელმაც ქართული ენა არ იცოდა და მით
უმეტეს ილიას თხზულებებს ვაცნობილი არ
იქნებოდა. ადვილად გასაგებია, რა სიძნელეს
გადალიანდების გრძნობა უკვეთების ვარჯისობის ერთგვარ იდურ ტრენდციას. ამასთან ეკუთვნის გარკვეულ წარსულს, გრძნობას, ექიმს. მისი სულიერი არსებობა ტინიორებულა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრების გარკვეულ ტრენდციითა და ვითარებით. ამას ყველაფერი მნიშვნელობა აქვს, დროდესაც ადამიანის ფსიქოლოგიური სამუარო ერთი ლიანდაგად მეორეში გადადის. სოციალური ფორმაცია მთელი თავისი შინაარსით — იდეებისა და განცდების, სურვილებისა და მიზნების სისტემის მთავარი ფორმებით ისტორიიდან გადას და შემოიღებს ახალი სოციალური ფორმაცია იდებებისა და განცდების, სურვილებისა და მიზნების ახალი სისტემით. ჩა არის ეს, თუ არა გადალიანდებება? და კულტურის არც ერთ ბუნებაში ისე მწეველი არც სახიერდება გადალიანდებება, როგორც ხელოვნებაში, სადაც იდებები და სახეები შხირად ეკი არ არიან მოცემული, არამედ მოცილებს ბანაოვნ. შესანარევი მონერტი ფსიქოლოგიურ-გონებრივი გადალიანდებებისა მოვცევა რუსთაველმა ამასთან და ავთანდილის შესხედრის სენაში. ავთანდილს სულში გავიხს ახმათისაგან, ვინ არის გამოქვაბულიმ მცხოვრები მუდღერი. მიუხედავად ავთანდილის მუქარისა და ზეწენისა, ამ მათი ურას ამბობს თქვას რამე. მაშინ ავთანდილი უკუხეობს გეგმა და ტარის. რუსთაველი, ან შემთხვევაში ავთანდილი დიდი ფსიქოლოგია, იცის, სადაც გონება და ლოგიკა უღლირა, იქ ვაგრძებულა გრძნობა მოქმედებს. თეატრალური სურათია მოცემული. ავთანდილის ტროლმა გული აუღარა ამასთან და ის ტარიონის ვინაობას უშეძლებს მას. აქ ფსიქოლოგიურად ისეთივე მონერტი. როგორც „ახალი მუღლი“, სადაც სულზე იდებება სენა და ცნობიერების არეში მიმდინარე გადალიანდებებული სახეები და სიტუაციები.

ხელოვნების ყველა ენაში — სურათი, ქანდაკება, მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა, სხვადასხვა ხერხითა და მილიტორით იმლება სუბლიმიაციას, რომელშიაც განსახიერებულა პოეზია. როგორც სურათი, ისე ქანდაკება, როგორც მუსიკა, ისე ლიტერატურა აუცილებლად უნდა შეიცავდეს პოეზიის ელემენტებს.

პოეზია განწყობილი ელემენტება ხელოვნების ყველა ენაში. შეეკიება და სუბლიმიაციის გზით ადამიანი აწეწებს თავის სულიერი დრამის უფლებსი ფორმით განსახიერებას. სხვადასხვა მასალით — თიბით, ფერით, სიტყვით სინამდვილიდან ამორჩეული სახეები ირჩევიან წარმოდგენაში, რომელშიც ჩვენი მე გაფართოვა და ვაშლა უსაზღვროებამდე. ამშია მოცემული შეეკიება და სუბლიმიაციის მონერტები, ადრბობები, რომელიც, როგორც აუცილებელი ელემენტები, გადალიანდების ეას ერთმანეთს აფორმებენ, აფორმებენ და ამით ხელოვნების თითოეულ ძეკლს აძლევენ გარკვეულ სახეს.

ირანული დეკორატიული თეფზი

მაცვალა ზანდუკელი
გიორგი კვიციანი

ირანულ ოქრომქედლობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. აქემენიანთა ხანის ოქრო-ვერცხლის იშვიათი ნივთები, დახვეწილი გემოვნებით ნაუქედი, ჯადოსნურად მოთხრობილი პართული და სასაანური ტორეტივის ნიმუშები ყოველთვის მსივრცეობდა მზახველს. ისინი დიდი ხანია მსოფლიო კულტურის კეთენილებად იქცა. ამიტომაც, რომ ირანული ოქრომქედლობის შესწავლა ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. წინამდებარე წერილში განხილული ვერცხლის დეკორატიული თეფზი წარმოადგენს ამ გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორის ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის მ. ზანდუკელის პირად ნივთს, რომელმაც მეცნიერთა და ლითონმქანდაკებელთა საერთო ალტაც-

ბა გამოიწვია, როგორც ოქრომქედლობის იშვიათმა ნიმუშმა.

თეფზის თავდაპირველი ადგილსამყოფელი იყო ყუმუხი, რამაც ჩვენს წინაშე დასვა კითხვა: ხომ არ არის იგი ჩრდილო კავკასიელ ოსტატთა ნახელავი? მით უმეტეს, რომ ყუმუხი, სოფ. ყუმუხთან ერთად, ძველთაგანვე ცნობილია, როგორც ოქრომქედლობის დიდი კერა. ამ ექვს რამდენადმე აქარწყლებდა ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში საუკუნეების მანძილზე თავმოყრილი გამოყენებითი ხელოვნების ყველა იშვიათი ნიმუში ადგილობრივი წარმოშობის როდია. მაკაბადიანური წეს-ჩვეულების წყალობით, რაც გულისხმობს ნაირნაირი ორნამენტით შემკული ქურტულების ფართოდ გამოყენებას, აქ დაიწვეს ოქრომქედლობის, მეთუნეობის, ხითხურობის, ქვიხურობისა და სხვა ნიმუშების შექმნა, რის გამოც მთელი ჩრდილოეთ კავკასია იშვიათ ნივთთა ცოცხალ მუზეუმად იქცა. ამ გარემოებაზე ყურადღება გამახვილეს საბჭოთა და უცხოელმა მეცნიერებმა. მავალითად, მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია დამკვიდრდა ტერმინი ე. წ. „ყუმუხური კერამიკა“, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით სოფელ ყუმუხში არსებულ უცხოურ და ზოგიერთ საეჭუო წარმოშობის კერამიკულ ნიმუშებს გულისხმობს. მეცნიერული კვლევების საფუძველზე მართლაც ირკვევა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული მეთუნეობისა თუ ოქრომქედლობის ყველა ნიმუში როდია ადგილობრივ ოსტატთა ნახელავი. ბევრი მათგანი ირანიდან არის შემოტანილი. სწორედ ასეთ ნივთთა რიცხვს მიეკუთვნება საყვლევი თეფზიც. ამგვარად, ჩვენს ხელთ აღმოჩნდა მატერიალური კულტურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც ნათესს ჰგენს ე. წ. „ყუმუხური ნივთების“ საკითხს. სხვათა შორის, სხენებული თეფზის შესწავლად დიდი სიცხადე შეიტანა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცული იმ ექსპონატების სადაურობის გარკვევაში, რომლებიც საინვენტარო დათვრებში, სრულიად უმართებულოდ, გატარებულა, როგორც ყუმუხური წარმოშობის ნივთები. ამდენად, სხენებული თეფზის შესწავლა აუცილებელია და უპირაინი, როგორც მეცნიერული, ისე კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით.

თეფზი დამზადებულია ვერცხლის მთლიანი ფურცლისაგან ცივად ჰედვის გზით. გა-

რეანი ფორმით იგი საშუალო ზომის ფრია-
ლა თევზია (სიმაღლე — 2,5 სმ, პირის დმ —
21 სმ). მის გულსა და ქობზე ნაირგვარი
ორნამენტული მოტივები რელიეფურად
არის ამოყვანილი ზურვის მხრიდან ნახატის
ჩაჭედვის წესით. თევზის თითოეული ორნა-
მენტის დეტალი დიდი ოსტატობით ნატიფა-
დაა დამუშავებული სხვადასხვა სახის სა-
ჭრეთლებით. გამოყენებულია აგრეთვე
პუნსონიც. ორნამენტაცია შესრულებულია
ბრწყინვალე ტექნიკური ოსტატობით.

თევზის ჭრელის (დეკორის) დეტალური
ანალიზი მოწმობს, რომ ოსტატი მისი შემ-
კობისას აქემენური (ძვ. წთ. VI ს) და სასა-
ნურო (ახ. წთ. III-VII სს) ირანის ხელოვნე-
ბის ნიმუშებზე მოცემული სიუჟეტებითა და
ორნამენტული „მოტივებით აზროვნებდა“.

თევზის ჭრელის მთავარი თემა სასანი-
ანთა ირანის შაჰის ხოსრო II (590-628 წწ.)
მეფედ კურთხევის სცენა, რომელიც ირან-
ში, ტაქიბუსტანში 600 წელს კლდეზე იქა-
ამოკეთილი. ეს სცენა თევზის გულზეა აღ-
ბეჭდილი. ინვესტიტურის სცენის მიხედვით
სასანიანთა უზენაესი ღვთაება აჰურამაზდა
ბაფთებიან სამეფო გვირგვინს აწვდის ხოს-
რო II, რომელიც მას მარცხენა ხელით
იღებს, ხოლო მარჯვენაით ხმლის ვადას ეყრ-
დნობა. აჰურამაზდას მარჯვნივ დგას სიყვარ-
ულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი ანა-
ჰიტა, რომელიც მარცხენა ხელში უპყრია
ბაფთებიანი გვირგვინი, ხოლო მარჯვენაში
ჩაიდანი. ხოსრო II და ანაჰიტას უკან გამო-
სახულია, წელს ზევით, ორი ადამიანის ფი-
გურა. უზენაესი ღვთაების აჰურამაზდას თა-
ვან, ორთავე მხარეს, ბაფთებით ხელში ორი
ანგელოსის გამოსახულებაა ურთიერთმე-
ხედრ პოზაში. ინვესტიტურის სცენის ქვე-
მოთ ცხენზე ამხედრებული ხოსრო II აღ-
ბეჭდილი. მას ცალ ხელში უჭირავს შუბი,
მეორეში კი — ფარი. ქვედა და ზედა გამო-
სახულებანი ერთმანეთისაგან გამიჯნულია
თაღით, რომელსაც გვერდებზე გრეხილი ორ-
ნამენტი ვასდევს. თაღის ბოლოებიც ეყრდნო-
ბა. ე. წ. „ბიზანტიურ სვეტებს“, რომლებიც
ოთხუთხა ბაზებზე დგას. სვეტების თავები
დამუშავებულია სტილიზებული მცენარეუ-
ლი სახეებით, გვერდებსა და ბაზებს კი გარ-
შემოყვება გრეხილი ორნამენტი. იგი გარე-
დან ჩაჭედვით. ხოლო ზემოდან დაღარვის
წესით არის მიღებული. სვეტების ბაზები და
ცხენის ფეხებზე მიწის მონაკვეთი პუნსონით
არის დაწინაწკლული.

თევზის გვერდების მხატვრობა ოთხ მო-
ნაკვეთად არის გაყოფილი. პირველ მონაკ-
ვეთში ასახულია ხოსრო II თავისი ამალი-
თურთ. მათ ვგებებიან აივნიდან გადმომდგა-
რი მუსაყოსები. ეს სცენა ირანში ამოკვეთი-
ლი იქნა VI საუკუნეში „ტაქ-ი-ბუსტანის“

კლდეზე. თევზის ფრიზის მეორე მონაკვე-
თი აქემენური (ძვ. წ. VI ს.) ირანის დროინ-
დელ სიუჟეტებს ვადმოგვეცემს. იგი იწყება
შუბის ტარზე დაყრდნობილი მეომრის გამო-
სახულებით. მის წინ მუხლზე დაყრდნობილ
მამაკაცს ორთავე ხელზე ფრინველები აზის.
მსახურს საჩრდილობელი უპყრია ხელი.
თევზის ამ მონაკვეთის მხატვრობა მთავარ-
დება ფრთოსანი ლომის დაოკების სცენით.
ერთ მამაკაცს იგი ილიაში ჰყავს მოძწყვედი-
ული და გამოვლი მარჯვენა ხელში მახვილი
უჭირავს. მეორე მამაკაცი კი საყუელის აწე-
დის. ჩვენი აზრით, ხსენებული სიუჟეტი
ძვ. წ. VI ს. აქემენიანთა ირანის დედაქალა-
ქის პერსეპოლის ერთ-ერთი სასახლის ბარე-
ლიფზე გამოსახულ მეფე დარიოს I და
ფრთოსანი ლომის შერყინების სცენის გარ-
დასახვას უნდა წარმოადგენდეს. ხსენებულ
ბარელიფზე დარიოსს მარცხენა ხელი
ფრთოსანი ლომისათვის ფაფარში ჩაუვლია,
მარჯვენაში კი მახვილი უპყრია და ლომს მუ-
ცელს უფატრავს.

თევზზე გამოსახული ფრთოსანი ლომის
დამაოკებელი მამაკაცი ნამდვილად რომ აქე-
მენიანთა მეფეა. ამას, პირველ რიგში, გვა-
ფიქრებინებს მისი ჩაცმულობა, რომელიც
ფორმამოყვანილობით პერსეპოლის სასახ-
ლის ფასადზე მოცემული დარიოს I სამო-
სელის იდენტურია. თევზის ქობის მხატვრო-
ბის მიხედვით მონაკვეთი წინა მონაკვეთში გა-
მოსახული ლომისა და მწვრთნელის გამოსა-
ხულებას იმეორებს. ამ სიუჟეტის წინ აღბეჭ-
დილია უზენაესი ღვთაება აჰურამაზდა. ამას
მოსდევს ორთავე ხელით შუბზე დაყრდნობი-
ლი მეომრის ფიგურა, რომლის წინ მშვილ-
დოსანი დგას. განსაკუთრებულ ყურადღებას
აპყრობს აქემენიანთა მეფეა სამოსში გა-
მოსახული მამაკაცის ფიგურა, რომელსაც
მარცხენა ფეხი მის ქვეშ გართხმული მტრი-
სათვის ჩაუკია და მარცხენა ხელში ჩაბლუ-
ჯული ლახვრით თავს უჭობს. ხსენებულ
ფიგურა აშკარად მოგვაგონებს ძვ. წთ. VI სა-
უკუნის ირანში ბეჰისტუნის კლდის ბარელი-
ფზე ამოკვეთილი აქემენიანთა მეფის და-
რიოს I გამოსახულებას. ამ მოსაზრების სა-
სარგებლოდ მეტყველებს მომდევნო, მეოთ-
ხე მონაკვეთში, დარიოს I მიერ დამარცხე-
ბული ქვეყნების დატყვევებული 9 ბელადის
გამოსახულება. ეს სიუჟეტიც ზუსტად იმე-
ორებს ბეჰისტუნის ზემოხსენებულ ბარე-
ლიფის მხატვრობას.

თევზის ფრიზის ოთხივე მონაკვეთი ერთ-
მანეთისაგან გამიჯნულია მცენარეული ორ-
ნამენტით, ხოლო ფიგურათა შორის დარჩე-
ნილი სივრცე შევსებულია ცხვირულებისა და
ფრინველების გამოსახულებით, მცენარეული
სახეებით და ასტრალური ნიშნებით.

როგორც ითქვა, თევზის ჭრელის ძირი-

თადი თემა სასანიანთა ირანის მეფის, ხოსროუ II ინესტიტურის სცენა. მაგრამ ეს არ წარმოადგენს ვადაშუყეტ პირობას თეფის სადარობისა და დამზადების დროის დადგენისათვის. სამისოდ საჭიროა მასზე მოცემული თითოეული სიუეტისა და ორნამენტული სახეების ისტორიულ ასპექტში განხილვა.

ირანის მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხშირად გვხვდება სასანიანთა დინასტიის შაჰების მეფედკურთხევის რელიგიური სცენები. მათ შორის ყველაზე ადრეუ-

შუა საუკუნეების ირანში მეთუნეობა და ლითონმკანდაკებლები ხშირად მამართლებდნენ სასანიური ხანის ხელოვნების წინაშე მოცემული სიუეტებისა და ორნამენტული მოტივების აღდგენა-გაცოცხლებას. ეს ტრადიცია გვიწოდებდაურ ხანაშიაც გრძელდებოდა, მაგრამ წინარესაგან იმ განსხვავებით, რომ ამ პერიოდის რელიგიური სცენები თუ მეფეთა გამოსახულებანი მკვეთრად განსხვავდება დედნისაგან (სასანიურისაგან).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ლითონის ფონდში ინახება თითბრის XIX საუკუნის ირანული დეკორატიული სურა, რომელსაც მუცლის არეში ამშვენებს სასანიანთა მეფეების არტაშირ I, კავადის, ბაჰრამ გურის (ვახრაზრ V) და ანუშირვანის (ხოსროუ I) პორტრეტები, მათი სახელების აღნიშნული სპარსული წარწერებითურთ. ამავე მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაკულია XIX საუკუნის ფაიანსის ირანული ჭალი, რომელსაც ამშვენებს სასანიანთა დინასტიის პირველი შაჰის არტაშირ I მეფედკურთხევის სცენა. აქ ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს ღვთაება აპურამზუნდასა და არტაშირის სამოსელის კალთების ნაოჭების ფორმა-მოყვანილობა, რომელიც იდენტურია საკლევ თეფშზე მოცემული ხოსროუ II სამოსელის კალთის ნაოჭებისა. ორივე შემთხვევაში თვალნათლივ ჩანს სამოსის მკაცი, მძიმე ნაკეცი. გამოსახვის მანერით ისინი აშკარად განსხვავდებიან სასანიური და შუა საუკუნეების ირანის მატერიალური კულტურის ძეგლებზე მოცემულ სასანიანთა მეფეთა სამოსელის კალთის ნაოჭებისაგან. თუ ეს ასეა, მაშინ დასტურდება, რომ ეს თეფშა და ზემოთ მოხსენიებული ფაიანსის XIX საუკუნის ჭალი ერთსა და იმავე დროს არის დამზადებული.

ამრიგად, ირკვევა, რომ თეფშზე მოცემული სიუეტები და ორნამენტული მოტივები წმინდა ირანული წარმოშობისაა, რაც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნიეთის დამამზადებელი ოსტატი კარვად იცნობს ირანულ სამყაროს. მას სურს თავის ნახელაზე გააცოცხლოს აქემენური და სასანიური ირანის წარსული დიდება. იგი, რა თქმა უნდა, არ წყვეტს ახალ ამოცანებს, პრობლემებს და მხოლოდ თავის წინამორბედთა ტრადიციებს აგრძელებს. ამასთანავე, ოსტატი არ ერიდება თეფშის ჭრელის ძირითადი თემის — ხოსროუ II მეფედკურთხევის სცენის კომპოზიციურ დარღვევას და, დედნისაგან განსხვავებით, გაბეღულად უნაკლებს ადგილს მეფესა და უზენაეს ღვთაებას. ამას გარდა, შეაქვს ახალი, დამატებითი ელემენტებიც, რომელშიც იგულისხმება ადამიანთა ფიგურების წელხევით გამოსახვა ხოსროუ II და

ირანული დეკორატიული თეფში.

ლია ამ დინასტიის პირველი მეფის არტაშირ I ინესტიტურის სცენა, რომელიც III საუკუნეში ამოკვეთილ იქნა ირანში კლდეზე და ეხობილია „ნაყში რუსტამის“ სახელწოდებით. მსგავსი ეპიზოდები გვხვდება „ტაქი-ბუსტანის“ კლდეთა ბარელიეფებსა და სასანიური ოქრომუქედლობის ნიმუშებზე.

ეს სცენები, როგორც წესი, რელიგიური ხასიათისაა და თითოეული შაჰის ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებას ემსახურება. არაბების მიერ სასანიანთა ირანის დაპყრობის (VII ს.) შემდეგ ისინი კარგავენ ყოველგვარ რელიგიურ შინაარსს და ნიეთთა სამყარო ხდებიან.

ქალღმერთ ანაბიჯის გვერდით. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ხოსროუ II ინვესტიტურის სცენა, უბრალოდ, თეფშის სამკაულია და ოსტატი მას ეპოქის შესაბამისად იაზრებს. ამიტომ არის, რომ მას საკუთრივ სკულპტურული ამოცანები უკვე აღარ აინტერესებს და ფიგურათა დამუშავებას საერთო დეკორატიულ ამოცანებს უქვემდებარებს.

ხეობით მოტანილი მასალების, თეფშზე მოცემული სიუჟეტებისა და ორნამენტული მოტივების ისტორიულ ასპექტში შესწავლა, ამ ჭურჭლის XVIII საუკუნის დასასრულთან და XIX საუკუნის დასაწყისით დათარიღების საშუალებას იძლევა შემდეგი მონაცემების საფუძველზე: თეფში, გარეგანი ფორმის მხრივ, მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეების ირანში გავრცელებულ ანალოგიურ ჭურჭელს ვმსგავსებთ. ასეთი ფორმის ვერცხლის დეკორატიულ თეფშს ირანის ტრადიცივა ამ საუკუნეებზე ადრე საერთოდ არ იცნობს.

თეფშის ამ დროით დათარიღებისათვის საფუძველს მაინც მისი ჭრელის მოტივები იძლევა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების, საბჭოური და უცხოური ლიტერატურის მონაცემებით, ირანის ოქრომკვდლობა არ იცნობს მეორე მსგავს ნივთს, რომელზეც ერთდროულად შერწყმული იყოს აქიმენური და სასანიური ორნამენტული მოტივები, რომლებიც ამ თეფშზეა მოცემული.

როგორც აღინიშნა, თეფშზე გამოხატულ ფიგურებს შორის დარჩენილი სივრცე შევსებულია ცხოველების, ფრინველების, მცენარეული სახეებისა და ასტრალური ნიშნების სტილიზებული გამოსახულებებით, რის გამოც ჭირს ჭურჭელზე „ცოცხალი“ (შეუმკობელი) ადგილის პოვნა. შემეობის ასეთი სტილი დამახასიათებელია XVIII-XIX საუკუნეების ირანული ოქრომკვდლობის ნიმუშებისათვის. აღნიშნული დროით თეფშის დათარიღებას ადასტურებს მის ვულზე ამოკეთილი ხოსროუ II სამოსელის კალთების ნაოჭების ფორმა-მოყვანილობაც, რომელიც მსგავსია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კრამიკის ფონდში დაცულ, XIX საუკუნის ირანულ ჭაღზე (ფაიანსი) სასანიანთა დინასტიის პირველი შაჰის არტაშირი I სამოსელისა.

ვერცხლის დეკორატიული თეფში ოქრომკვდლობის შესანიშნავი ნიმუშია, რომელიც თავისი ღირსებით მსოფლიოს ნებისმიერი ხალხის ხელოვნებას დაამწვენებდა.

„წმინდაც ეს დაბადება საქართველოს მეფის ბაქარის ნაპირნახულევი მის ნეტარსენებლის სულის მოსახსენებლად ფიტავითი დეკანოზს შიოშს მიუბოძათ“ — იუწყება ერთი ძველი მოღვაწის საძღვნო ავტოგრაფი; „ქრისტემა, ვიბოძეთ წმიდა ესე დაბადება შენ მღვდელს ფილიპეს მეფის ბაქარის [ნაპირნახულევი]. მისის სულის საოხად მეთა და ასულთა მისთა კეთილად წაისაქართველათა. კენინა ანა“. — წერს ანა დედოფალი იოსებ სამებლისეულ, ეგზემპლარზე.

ასე დამკვიდრდა ხალხში, ხოლო შემდეგ — მეციხერებაში გამომცემლის სახელის მიხედვით პირველნაბეჭდი „დაბადება“.

მართლაც, დიდა ვახტანგ VI-ის ღირსეული მემკვიდრის ბაქარის დამახსურება ფეოდალური ქართული კულტურის ამ ძეგლის გამოქვეყნების ორგანიზაციაში, მაგრამ არც ეს და არც ამ წიგნთან დაკავშირებული ბევრი სხვა საკითხი დღემდე სრულყოფილად შესწავლილი არ არის, თუმცა პირველნაბეჭდი „დაბადება“ დიდი ხანია იწვევს ქართველ, რუს და უცხოელ მკვლევართა ინტერესს. ამის უმოთხრესი მიზეზია საარქივო დოკუმენტების საჭირო სისრულაში გაუთვალისწინებლობა.

გასულ წელს ქართულმა სასოფლოეზო კვლავ აღინიშნა რომში ქართული და იტალიური შრიფტით დაბეჭდილი წიგნების თარიღი. ყოველი ასეთი ღონისძიება ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიის შეუმნას უწყობს ხელს. ამასვე ემსახურება „დაბადების“ პირველი გამოცემის თავგადასავლის აღდგენის ეს ცდაც.

„დაბადება“ („ბიბლია“) უფრო მეტ ჭვეყანაშია პოპულარული, ვიდრე ინდური რვევითა ხანგისტა მამაანა, ფარსთა ზენდესტა და უძველესი ლიტერატურის სხვა შედევრები. დიდა „დაბადების“ როლი წინა აზიისა და ევროპის კულტურული მსოფლიოს სულიერ განვითარებაში.

ქართველები იმ უძველეს ხალხთა შორის მოწინაეობენ, რომელთაც ადრევე შეიცნეს „დაბადების“ მნიშვნელობა და გადმოთარგმნეს კიდევ. ხანგრძლივი იყო ამ ძეგლის ქართულ სინამდვილესთან შეთვისების პროცესი, რაც XI-XII საუკუნეში დასრულდა. ეს ყველაზე კარგად გამოიხატა წიგნის ქართულ სახელწოდებაში — „დაბადება“.

კარგახანს ემსახურებოდა ასე ამაღლებული „დაბადება“ აღმავალ ქართველობას. შემდეგ, პროგრესის შეფერხების შედეგად, მისი კულტურულ-პოლიტიკური საყრდენებიც შესუსტდა... ეს განსაკუთრებით იგრძნეს „აღდგენის“ ხანაში და დიდი მუშაობაც გაჩაღდა. მალე წიგნის ახალი ეპოქის — ნაბეჭდი წიგნის სიღირსე შეიცნეს ჩვენმა მოღვაწეებმა და გზები ახუთკენ აიღეს.

იგი როგორც ევროპის მოწინაევე ჭეჭებით, ქართველები საღვთო წიგნებით იწყებენ ამ დიდ საქმეს. პირველობა ამ წამოწყებაში გერმანულმა დაიბეჭდურეს 1455 წელს გამოცემული ბიბლიით, მალე (1581) სლავებმაც იმარჯვეს, მათ მიჰყვნენ სომხებიც, რომელთაც ეგზომ

ბაქარის ნაჭირნახულება

ფრიდონ სიხარულიძე

დაწინაურებულ ჰოლანდიაში 1666 წელს გამოსცეს სომხური ბიბლია. ჯერი ქართველებზე მიღდა.

„დაბადებაზე“ ზრუნვა XVII საუკუნის 60-იან წლებში ფაქტია.

შემდეგ ამ ძეგლის წიგნების შეკრება და სლავურთან შეჯერება არჩილს დაუკავშირდა. ეს შალვაგახათლებული მეფე ოცნებობდა „დაბადების“ გამოცემაზე და თავდაპირველად საამისო ტექნიკური ბაზის შესაქმნელად ხანგრძლივად იღვწოდა.

არჩილის ხელმძღვანელობით 1705 წელს მოსკოვში დაიბეჭდა ძველი აღთქმის უმნიშვნელოვანესი წიგნი „ფსალმუნნი“.

მოსკოვში მცხოვრებმა ამ ქართველმა სწავლულმა თანდათან გააღრმავა „დაბადების“ შესწავლა. დამატებით მან საქართველოდან გამოითხოვა აღნიშნული ძეგლის ზოგი ხელნაწერი. ვახტანგ VI თავაზიანად შეუსრულა ბიძის სათხოვარი. არჩილმა შეკრება ამ თხზულების „წიგნად წიგნად“ არსებული ნაწილები და ტექსტი სლავურის მიხედვით გაასწორა, ხოლო დაკარგული „წიგნი მაკაბელთა“, გადმოთარგმნა. რაც შეეხება ისო ზირაქის წიგნს, ვახუშტის ვარაუდით, არჩილს, თითქოს, ისიც უნდა გავსწორებინა.

ჩანს, არჩილის რჩევით, საქართველოში „დაბადების“ ტექსტის დადგენაზე იღვწის ს. ს. ორბელიანი, რომელსაც საფუძვლად „გელათის დაბადება“ აუღია. სულხანმა თავები და მუხლები გამოიყო ახლად რედაქტირებულ ძეგლში და იგი ამსტერდამში გამოცემულ სომხური ბიბლიის ტექსტს შეუდარა.

1709 წელს თბილისში გამოქვეყნდა „ფსალმუნნი“, „სამოციქულო“, „სახარება“, ხოლო 1710-1711 წლებში „საწინასწარმეტყველონი“.

ვახტანგ VI-სა და რუსეთში მის მხლებელ მწიგნობრებს გამოცემლობის განახლებაზე ზრუნვა არ შეუწყვეტიათ.

ნოვგოროდში მოღვაწე იოსებ იოსების ძეს, 1736 წელს მაკაბელთა და ისო ზირაქის წიგნების ტექსტი დაუხუხტებია.

30-იანი წლების ბოლოს, მოსკოვში მოღვაწე ქართველებისათვის გადაუდებელ ამოცანად იქცა მთლიანი „დაბადების“ გამოქვეყნება.

ბაქარის მითითების საფუძველზე იოსებ სამეხელის დასმა უმოკლეს ვადაში შექმნა დამოუკიდებელი ქართული სტამბა. ქართველთა ახალშენის მეთაური მეფე ბაქარი მტკიცედ ჰკიდებს ხელს „დაბადების“ დაბეჭდვის ორგანიზაციას.

ტექსტის გამოსაქვეყნებლად მომზადება გამორჩეულად მიენდო საერო პირს — ვახუშტი ბაგრატიონს. მას პირველად შორს დაუჭერია, მაგრამ შემდეგ უკისრია ამ რთული საქმის შესრულება.

ვახუშტიმ კარგად იცოდა სლავურ „დაბადებაზე“ გაწეული ტექსტოლოგიურ ძიებათა არსი, მაგრამ როგორც „დაბადებაზე“ ამ მეცნიერის მუშაობის ამსახველი მასალების შესწავლა მოწმობს, მას თ. ლობატინსკისეული ან შემდეგ შესწორებული ტექსტი კი არ გამოუყენებია, არამედ თავისი პუბლიკაციის მომზადებისათვის სხვა, რთული გზა აურჩევია.

შესასრულებელი ამოცანა ვ. ბაგრატიონს ბაქარისა და სხვა ქართველ სწავლულთათვის (სასულიერო) გაუცვანია. მათ ერთხმად მოუწონებიათ ვახუშტის დასაბუთებული გეგმა.

ამ დიდი საქმის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი ქართული ტექსტის შემოწმება და ბერძნულთან შედარება იყო,

რაც ვ. ბაგრატიონს ძირითადად რუს მთარგმნელ, რედატორ და „კორექტორ“ ანდრია ივანოვთან შემოქმედებით ურთიერთობით შეუსრულდება.

ვახუშტის „დაბადების“ რთულად გამართავი ტექსტი მისთვის ჩვეული მეცნიერული სიღრმე-სისრულთი გაასწორა მოსკოვს, პრესნაზე, ქართული კულტურის ცნობილი კერაში.

გამოსაკვირ დედანი მას 1742 წლის 7 სექტემბრისათვის მოუზადებია. ჩანს, ტექსტის გამართვაზე გვიმაზობირთი მუშაობა 1741 წლის გაზაფხულის მიწურულს, ან ზაფხულის დაწყებულა.

ვ. ბაგრატიონისა და ა. ივანოვის ვარდა, ტექსტის დადგენაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ სხვებსაც, მათ შორის, რუსული ენის მკვლევ ქართველსაც.

გამოსაკვირებლად დაზადებული მთლიანი „დაბადების“ ხელნაწერი მოსკოვიდან სვესენწკაში ახლად გადატანულ სტამბაში დასაბეჭდალად ვახუშტის ჩაუბარებია წინამძღვარ ქრისტეფორე გურამიშვილისა და ქართველი მეფის მდივან-მწიგნობრის მექსისაღმე კავკასიისათვის 1742 წლის 7 სექტემბერს.

შიშინება ეს თარიღი წიგნის დამატებითი ნაწილების (საბეჭდოს, ქრონიკის, „შეცდომათათვის“ შედგენის, ან ვახუშტის ბოლოსიტყვაობის დაწერის) დასრულებებზე მიუთითებდეს და არა ძირითადი ტექსტის მომზადებაზე. გამორიცხული როდია „დაბადების“ გამოცემისთვის მზადება, ძველი აღთქმის ბეჭდვა უფრო ადრე დაწყებულიყო.

წიგნის შესწავლით ირკვევა, რომ წინასიტყვაობა, თავდურცილი, „ესრეთ შეუდგების წესი არებისა“, ცალკეული წიგნების შინაარსი ძირითადი ტექსტის შემდეგ, ბოლო დამატებათა აწყობისას უნდა დაბეჭდილიყო. არ მართლდება ვარაუდი იმის შესახებ, რომ თითქოს „დაბადების“ უახალთაგან დაბეჭდილიყოს.

1743 წლის 1 მაისს დასრულდა „დაბადების“ ბეჭდვა მოსკოვის ქართული კულტურის კერაში — სვესენწკაში. ეს მოსკოველ ქართველთა დიდი გამარჯვება იყო. ძველის გამოცემის თარიღი ღირსსახსოვარია ქართული კულტურის ისტორიაში.

ქართული სტამბა-გამომცემლობის რედაქტორი და კორექტორია აწ უკვე კარგად ცნობილი ქრ. გურამიშვილი. ამ ძველის შემუშავების ეს მოღვაწე უფროსი „გამმართველი“ ჩანს.

სტამბის შემავთავან ქრ. გურამიშვილს ვარდა, წიგნის თავდურცილში მხოლოდ სამი პიროვნება მითითებული, მაგრამ მათგან სახელით, გვართია და თანამდებობით დასახელებულია მხოლოდ ერთი, მეფის მდივან-მწიგნობარი მ. კავკასიძე, ხოლო დანარჩენი ორი — სა-მეფო კარზე მათი ადგილობა და სახელით. უფროსი „გამმართველისათვის“ თანამუშევრობა გაუწევიათ კარის მდივლებს: დავითსა და ფილიპს.

დავითი გვარად ხოსთველი ჩანს. იგი მოსკოვში 1729 წლიდანაა. ქართველთა ახალშენში დავითი ხელმძღვანელობდა წიგნებით ვაჭრობას და ქართული მეფის სასახლეში ასრებულ რელიეფებსაც იცავდა.

კარის მეორე მოძღვარი ფილიპე, გვარად სიმონგულაშვილი უნდა იყოს.

ეს წმიდა წიგნი თავიდანვე მეფის მოკვლის მეთვალყურეობით უნდა დაბეჭდილიყო, მეფის მწიგნობარ

მ. კავკასიძეს, ქრ. გურამიშვილთან ერთად დეველტორი ქონდა: „ბეჭდვალ სიმართლით შესრულებამა...“ „დაბადების“ გამოცემისას მ. კავკასიძე „ხელნაწილში“ და მიერეუ“ც გამოდარა. კალიგრაფისა და მხატვრის მ. კავკასიძის ხელი კარგად ეტყობა ამ გამოცემის შრიფტო ვაფორმებს, წიგნის შემუშავობას.

„დაბადება“ დაიბეჭდა ი. ჭაბუღიძის სტამბაში, რასაც მოწიფებით აღნიშნავს გამოცემული მეფე ბაქარი წიგნის წინასიტყვაობაში.

„დაბადების“ პირველი გამოცემასთან დაკავშირებულ მუშაობა (ინიციატივის და წარმართველის, სტამბის მფლობელის, რედაქტორ-ტექსტოლოგის, მთარგმნლის, გამოცემლობის რედაქტორისა და უფროსი კორექტორის, კორექტორების, შრიფტის მუდრისა და მბეჭდვითა ზედამდგომლის) წვლილი იმ დროის სახეობებში გეროვნადაა აღნიშნული და არც შემდგდროინდელი დოკუმენტების შესწავლა იძლევა იმის საფუძველს, რომ ზემოდასახელებული ამ შეხმატებულეული შემოქმედებით კოლექტივიდან ვინმე რომელიმე მათგანის დამსახურების მიჩქმალავს ცდილიყოს.

„დაბადება“ დაბეჭდილია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე (შეიცავს 560 ფიურეკლს, ზომით 38×26 სმ.). უვარადებას იქვეს სპეციალურად ამ უბლიკაციისათვის დამზადებული ნუსხა-ხუტური შრიფტი. ქართული შრიფტის ასეთი გაუმჯობესება მ. კავკასიძის დამსახურება უნდა იყოს.

წიგნში უნეტუტაციისათვის გამოყენებულია წერტილი, ორწერტილი, მძიმე, მოკლე ტალღისებური პარალელური ხაზები. ტექსტში გახებულია ცალკეული სამკალელები შუბის, ვარსკვლავისა თუ სხვათა სახით. ასეთი შემუშავობა მუხლთა დამთავრების აღნიშვნასთან ერთად, გვენიჭებს ნიშნებადც იხმარებოდა.

ბაქარის წინასიტყვაობისა და თავდურცილის ვარდა, მთელი წიგნი ნაბეჭდია თეთრ ალექსანდრიულ ქალაღზე, ორ სვეტად. მათ ჰყოფს თეთრი ვერტიკალური ზოლი. ტექსტის სტრიქონთა ანაწყობი რიტმული ინტერვალის იგივეობას ეტყენება. გვერდების არწყობის გრაფიკული გადაწყვეტა პოლიგრაფიულად მიგნებულია, ჰიგენურია.

წიგნის პავინაია ორგვარია: გვერდობლივი (ქართული ასოებით) და რვეულებრივი (ქართული ასოებითა და არაბული ციფრებით).

მოსკოვში ქართულმა მესტამებებმა ქართული წიგნის ბეჭდვის ტრადიციებზე დაყრდნობით შემოქმედებითად ათივისეს რუსული პოლიგრაფიული ტექნიკისა და მხატვრული ვაფორმების ზოგიერთი ხერხი, რაც „დაბადების“ შამაბეჭდვად ვაფორმებშიც ეწონდება. წინასიტყვაობას ორნამენტული სარტყელი ვიწმინდებს, ხოლო მარცხნივ და მარჯვნივ დაწყება ორ-ორი შეუული ხაზი, რომელსაც ორნამენტი ჰკრავს.

თავდურცილის შემუშავობა იმეორებს წინასიტყვაობის ორნამენტს, რაც შემდეგ ბოლომდე გასდევს მთელ ტექსტს. ასევე, უქანსკელ გვერდამდე მორდება ქვედა სარტყელი და გვერდითი შეუულები. ამ გვერდით ხაზებში ჩაწერილია მუხლთა სათავალავი. შეუული ვართ გამოტანილია შენიშვნები, სახელები... თითქმის ყოველ გვერდზე, ზემოთ ორნამენტი ორ ტოლ ნაწილადაა გაყოფილი და შუაში ჩაწერილია წიგნის სახელწოდება.



ქართული სტამბის მუშაკებს აქ ყველაზე ნაკლებზე შეეძლოთ დაესახებოდნენ სხვებს. „დაბადების“ მხატვრული (სახელო) ასოები, ძირითადად ვახტანგ VI სტამბის საწინაწარმეტყველოსა და 1741 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „მარხვანის“ შემკულობათა განვითარება.

ძეგლის ილუსტრაციებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თავსამკაულებს. აქ უცხოელ ოსტატთა მიღწევების მოხერხებული გამოყენებაც (ზოგჯერ კლონესაც) ქართულ თავისებურებას ავლენს. „შესაქმეს“ მცენარეული თავსამკაულის ცენტრში მოთავსებულია ტრნოდ მაცხოვარი წელსზევით გამოსახულებით, ხელში სახარებთი. ტრნოდის თავზე ტოლფეხივითაა ჯვარი უხის.

განსაკუთრებით საინტერესოა „დავითის“ დასაწყისის მხატვრული გადაწყვეტა. წიგნის მთელი გვერდი (ხაზგადი რუსული წიგნის ტრადიციისამებრ) ჩასმულია ჩარჩოში. ორნამენტული კომპოზიცია გემომეტრიულადაა განლაგებული, რომელსაც ზემოთ და ქვემოთ სამ-სამი სარტყელი შემოაყვება. გვერდებზე — ორი-ორი ორნამენტული სარტყელი და თითო სწორი ხაზი.

ამ თავსამკაულის ზემო ნაწილში, მცენარულ ორნამენტულ მასალას მაცხოვრის „ხატი“. მაცხოვრისა და დავითის პორტრეტებს შორის სამი ფრთიანი ანგელოზის თავებია ჩახატული. შემდეგ ბაზისზე დაყრდნობილია ორნამენტული სვეტი, აქეთ-იქით ასევე ანგელოზის გამოსახულებებით. გვერდებზე ორნამენტული მოტივებია.

„დავითის ხატი“ ორივე მხრით შემოსაზღვრულია ორნამენტულიაგან შესრულებული ჯვრებით, თავზე ანგელოზებით.

ტრნოდში ინტერიერის ფონზე გამოსახულია საყდარი, რომელზეც ზის დავითი ხელში გაშლილი წიგნით, თვალს ტიპებს „ფსალმუნის“ შეგონება: „ხეტარ არს კაცი!“ მეფეს ფეხები უდგას სადგარზე, რომლის ზევით, მარჯვნივ ჩახატულია ქნარი, მარცხნივ — სარკმელი. საყდრის თაღებთან წარწერა: „მეფე დავითი“. თალი, სარკმელი, საყდარი მოჩქურთომებულია.

სურათის ქვემოთ მკვეთრად გამოყოფილ შავ ფონზე სარკმელიდან გადმოდის ხეული მცენარეული ორნამენტი. ეს კომპოზიცია მანამდე ქართულ გამოცემებში არ ვხვდებით. ზოლო დავითის ასეთივე „ხატი“ 1717 წელს დაბეჭდილი „ფსალმუნშიც“ არის. აქ ყველაზე ნათლადაა გამოტყვევებული ბაგრატიონთა წარმოშობის ლეგენდის იდეა. მეტყველდაა მითითებული ამ დინასტიის ნათესაური კავშირი ქრისტესთან — დავით წინასწარმეტყველის საშუალებით.

ტექსტის მომდევნო ნაწილის მარჯვნივ სახარების თავსამკაული ჩასმულია ორნამენტულ ჩარჩოში: საყდარზე მაცხოვარი წიგნით ხელში, მკურთხეული მარჯვნივ. მაცხოვარი აყვავებულ ტრნოდში ხის. ზეითი ტონად დაშვებულია ორნამენტული ხეულით.

იგივე მორღებმა ითანეს სახარების დასაწყისშიაც. თავსამკაულთა უმეტესი ნაწილი შემოქმედებითად იმეორებს რუსული ნაბეჭდი წიგნების თავსამკაულთა ნახატს.

სხვაგვარ იდეურ ძვლადობას იძენს „საქმე მოციქულთას“ თავსამკაულის იკონოგრაფიული ვარიანტი — ჯოჯოხეთის წარტყვევნის სქემა. აყვავებულ კარგულ

ჩარჩოში ჩასმულია ტრნოდ, რომელსაც ორივე მხრივ ამოკლებს. ტრნოდში მთელი ტანით გამოსახული მაცხოვარი ფეხით აღებს ჯოჯოხეთის კარიბჭეს და იქვე აღმოაჩნავს ადამი და ევა. ტრნოდზე დაშვებულია ყვეაილოვანი ორნამენტი, რომელშიაც ჩართულია ქართული ვაზი. ეს მხატვრული დანამატი ეროვნულ გადახარად აღიქმება კომპოზიციის გადაწყვეტაში. აღსანიშნავია, რომ იგივე მორღებმა გამოიყენებენ იოანესის თავსამკაულდაც. ესეც მნიშვნელოვანია. ამ კომპოზიციის სიმბოლურ ძენლი ამოსაცნობია (ბაქარი? ქართველი ხალხი?..).

წიგნში, ხან ტექსტის ორივე სვეტში, ზოგჯერ ცალ სვეტში, მოხმარებულია მრავალფეროვანი მხატვრული საშუალებანი. ბოლოსამკაულებად გამოყენებულია მცენარეული მოტივი, ცალკე აქანის ლანდ შეკრული ლეროები, ბერძნული ამფორის ტიპის კონარე, დაბეჭდილი სეგმენტებით, რომლის სახელები აქანის ღეროების ფორმას იღებს; ლარნაკში მოთავსებულია ორხაზმენტული სტილობოლო მცენარეული მოტივი. ორივე მათგანი გვხვდება ქართული წიგნების თბილისურ გამოცემებში, რაც შეეხება დაბეჭდილ სეგმენტთან დაბალ მარხვას, რომლის ყურები ფთოლური ორნამენტისაგანაა შექმნილი, მასში მოთავსებული ყვეაილებით (მათ შორის ტიტა გამოიკეთებმა), პოლანდიური წარმოშობისაა და ქართულ გამოცემებში პირველად არჩილის ხელმძღვანელობით დაბეჭდილი „დავითის“ იყო გამოყენებული. ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ შემოქმედებითი კავშირები ცალმხრივი არ იყო.

წიგნში ამა თუ იმ ტექსტის დასრულების მისანიშნებლად ზოგჯერ ვხვდებმა ორნამენტული სარტყელი. მაგ. 290-ე გვერდზე დარჩენილი ადგილი შევსებულია ცხრამეტი თანდათან შემცირებული კონუსის ფორმის ორნამენტული სარტყელით.

წიგნის შემამკობელ შეცდომა ბოლოსამკაულის გამოყენებაშიც მოსვლიათ. მაგ. 844-ე გვერდზე ლარნაკი უკლებმა დაბეჭდილი. ამ ძეგლში ექვსი დუბეჭდავი გვერდია.

დამატებითი ნაწილის ტექსტში ჩართულია „პელთას“ — მზის მოქცევის (შეიდეულის) ზეპირად სწავლება მარცხნა და მარჯვენა ხელის თითებზე ს. ორბელიანის აღდგენილი და მოსკოვში ნიკოლოზ სერბილისანთან ხელნაწერ წიგნში შეტანილი. ტექსტთან ერთად გამოსახულია სამი ხელის მტევანი, თითებზე ასორიცხეებით წარწერილი. ეს ქართული ხელნაწერი წიგნების ტრადიციას (მდრა: სავალობლების კრებულის (A კოლექციის 85-ე ხელნაწერის ნახაზები).

ქართულმა მოღვაწეებმა წიგნის კომპოზიციაში ნახესხები ელემენტები იმ ზომამდე გამოიყენეს, რაც აქ ეწინააღმდეგებომა მათ მხატვრულ პრინციპებს. კერძო მორთოთიერიობამ გაამდიდრა მხატვრული ხერხების არსენალი. საერთოდ, წიგნთმბეჭდაობის დარგში კავშირი მცირეა, რადგან რუსეთში არსებული ქართული სტამბა დამოუკიდებელი იყო და „დაბადების“ გამოცემაც განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობდა.

ქართველ ოსტატთა შემოქმედებას ეროვნული ხელოვნების ტრადიცია განსაზღვრავდა, რაც კარგად გამოვლინდა ამ წიგნის შემკულობაში.



„დაბადების“ ილუსტრაციები არა მარტო მანამდე გამოცემულ ქართულ წიგნებზე მძლავრ დგას, არამედ იმდროინდელი მთელი ქართული გამოცემების ერთგვარი მხატვრული სინთეზიცაა.

ამ წიგნით თითქმის შეკამებულა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ გამოცემათა მხატვრული განვითარების გზა. გამოცემულს, რედაქტორის და სხვების უზრუნიათ მისი მოხმარების ვადვილებამაც. საამისოდ, ძირითად ტექსტს თავსა და ბოლოში ერთვის დაამატებანი.

ძველის ახალი თარგმანით შესწორებული ტექსტი აქა-იქ მცდარია. ენობრივი ლაფსუსებიც გვხვდება. ამის მიუხედავად ბაქარს თამამად შეეძლო განეცხადებინა, რომ „დაბადების“ ეს გამოცემა „არარაა უღარეს სავონებელ არს სხვათა ბიბლიათა: ანუ ებრაელთა, ანუ ელენთა, ანუ ასურთა, ანუ ბულღართა, ანუ სომეხთა და სხვათა ყოველთა“.

გამოცემის მაღალი დონე ეფუძნებოდა ჩვენს დიდ კულტურულ ტრადიციას, არჩილისა და ვახტანგ VI დავაის და მათი ფილოლოგიურ-მეცნიერული სკოლის სახელოვან წარმომადგენელთა დაუღალავ მეცადინეობას.

მოსკოვის იმდროინდელი ქართული გამოცემების ტრიალი არ იყო დიდი (რაც ძნელი ასახსნელი არ არის) და არც „დაბადება“ დაუბეჭდავთ მრავლად (გამოცემა 300 ეგზემპლარია). მისი რამდენიმე ცალი მაშინვე მოიერთო მდიდრული ყდით — ცნობილი ქართველი შემოსევლი ოსტატის მკაპარის მეოხებით. ყდებშივე იყო ჩასმული ის ასი ეგზემპლარი, რომელთა საქართველოში გამოჰგზავნას ბაქარი ლ. ბარათაშვილისა და მისი მსუბუნების საშუალებით ავირებდა.

ჩვენ შევისწავლეთ სამ ათეულამდე პირველნაბეჭდი „დაბადება“, მაგრამ ყდების სიმეტროს დაიდგენა ვაძეულდა. უმრავლესობას აშკარად ეტყობა ყდის განახლება. ვიჭირობთ, ძველი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო საისტორიო მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცული ამ წიგნის ყდა. ყდის ზედა ფრთის ცენტრში ამოტივრულ ტონდოს შუა ადგილას მონოგრამაში ჩაწერილია ჭკარციმის გამოსახულება. იგივე მონოგრამა მეორდება ქვედა ფრთაზეც. ყდას ჩარჩოდ შემოვლებული აქვს ორნამენტული ზოლი, რომელიც, საფიქრებლოა, ასახაილდეს იონური ორდენის სვეტისთავს. ყუა გაყოფილია შვიდ სეგმენტად. თითოეული სეგმენტის შუაში გამოსახულია არწივი, რომელსაც მარჯვენა ფეხის ბრჭყალებით უჭირავს მახვილი, ხოლო მარცხენა ფეხის ბრჭყალებით — ლამპარი?

საქარო ბიბლიოთეკაში დაცული „დაბადების“ ამ გამოცემის ერთ-ერთი ეგზემპლარის (K 30/609) ყდის ზედა ფრთა მუქი ყავისფერისაა. ჩასმულია ორმაგ ორნამენტულ ჩარჩოში. არშეიბად თოხივე მხარეს მოყოლებული აქვს ზეუღელი ყვავილოვანი ორნამენტი, რომელიც თავის მხრივ საზღვრავს ცენტრალურ კომპოზიციას, ხარბების სივანს. კუთხეებში თოხი მახარებლის გამოსახულებაა. მახარებელ ლუკას აწერია: „S Luca — წმიდა ლუკა“. წარწერა ჰქონია სხვა მახარებლებსაც, მაგრამ არ იკითხება. ყდის ქვედა ფრთა მეთორებს ზედა ფრთის მოჩარჩოებას, მხოლოდ კომპოზიციას განსხვავებული.

აქ ცენტრში გამოსახულია ლეთისმშობელი ვრცელფრთა, კუთხეებში — სალდარზე, მახარებელნი, საღვთო წიგნების შედგენის დროს.

ყუა დაყოფილია შვიდ სეგმენტად. თითოეული სეგმენტი ორნამენტულ ჩარჩოებშია ჩასმული.

წიგნზე გაკეთებული წარწერა იწმობს, რომ იგი ყდით არის შემოტანილი რუსეთში.

საინტერესოა საქაროს სხვა ეგზემპლარის (K 34/609) ყდაც. ორნამენტული ჩარჩოთი შემოსაზღვრული სწორკუთხა სიბრტყე დასერილია გადაკვარდინებული შუბის ტარებით, რომელიც რომბის ფორმას ქნის.

იგივეა ქვედა ფრთა. ყუა დაყოფილია ზუთ სეგმენტად. ზევიდან მეორე სეგმენტში წერია: „წმინდა“.

ამ წმიდა წიგნის გამოცემის ჩინაფიქი და მნიშვნელობა იმათათვე ღრმად შეიგნეს საქართველოში და ღირსებულად დადასეს მსოკოვის ქართული ახალშენის მესვეურთა ამავე.

ბაქარს მისი გამოგზავრების მზადებისას (XVIII საუკუნის 40-ნი წლები) არ მოუხერხდა სპეციალურად მზადდებულ ყუთებით ამ გამოცემის შესამედის ერთდროულად საქართველოში გამოგზავნა.

სამშობლოში წასვლის სანაცვლოდ ქართველი მეფე უკანვე აბრუნებდა ნაბოქებ მამულებს, სასახლეებს, ქარხნებს... მაგრამ, როგორც „დაბადების“ ერთ ეგზემპლარზე მინაწერი ვეაცნობს, „განუგრძდით მწირობა“.

1761 წელს ბაქარის მეგამიდრეს ალექსანდრეს ნება დართეს საქართველოში გაეგზავნა ყუთებში ადრე ჩაწყობილი „დაბადების“ ასი ეგზემპლარი. მოსკოვიდან ამ წიგნის წაწოდება შემდეგ ხანშიაც გრძელდებოდა.

საქართველოში პირველნაბეჭდმა „დაბადებამ“ დიდი აღიარება ჰპოვა.

საინტერესოა მისი გავრცელების გეოგრაფია.

ამ წიგნს ქართულ-კახეთის, იმერეთის, გურიის და სხვა ცნობილ კულტურის კერებში იყენებდნენ. „დაბადება“ ზოგიერთ ქართველ წარჩინებულს ოჯახშიც ჰქონდა.

რუსეთში ამ გამოცემის რამდენიმე ეგზემპლარია დაცული. „დაბადების“ ერთი ცალი ვეტეკაში ინახება, ეთი — ვენაში, ეთი ეგზემპლარი იყო საქსონიის კურფურსტის ბიბლიოთეკაში... ქარ. გურამიშვილის ეს ერთ-ერთი დიდი შემონაქმედი ხელთ უნდა ჰქონოდა სახელოვან დავით გურამიშვილსაც, რომელსაც განზრახული ჰქონია მთელი „დაბადების“ გალექსვა.

საარქივო ძიება კიდევ ბევრ საინტერესოს გამოავლენს.

ამ ძველისა და სხვა ქართული წიგნების შეკრებას ახლა დაარსებული მთელი ყუთადდება უნდა მიექცეს ახლადგარსებული წიგნის მუზეუმის განსამიდრებლად.

უკანასკნელ ხანს ამ ძველის შესწავლა ჩვენში გამოცოცხლდა და ეს სასებთი კანონზომიერია, რადგან „დაბადება“ მახლობელი ამომსავლეთის უძველესი ცივილიზაციისა და ფეოდალური ქართული კულტურის ცენტრიის უძვირფასესი წყაროა.

შედეგ მეორეული

გურამ გოგია

მართლმად თვითნასწავლ ხალხურ ოსტატთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ფერმწერსა და მოქანდაკეს მალე მარადიშვილს. მისი შემოქმედება ორგანულადაა ამოზრდილი მშობლიური ბუნებიდან, ეროვნულია თავისი შინაარსითა და გამოსახვის ფორმით. მისი ნამუშევრების შინაგანი ექსპრესია თითქოს მეტად უბრალოდ, ყოველგვარი ძალდატანების გარეშეა მიღწეული. მათში მძლავრად ჩქვეს ხალხური შემოქმედების ოპტიმიზმი, თანამედროვეობის რიტმი და მაქსიმეა. ოსტატს არ იტაცებს ზღაპრული სიუჟეტები და მოტივები, მისი აზროვნება და წარმოსახვა ყოველდღიურ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. გატაცებით და შთაგონებით მუშაობს როგორც ფერწერაში, ისე ქანდაკებაში.

შ. მარადიშვილის ფერწერულ ტილოებში ყურადღებას იქცევს მხატვრული ალლოთი და გემოვნებით შერჩეული ფერთა გამა, რომელიც სხვადასხვა სურათში განსხვავებული ელვადობისაა. მხატვარი აღწევს შესანიშნავ ეფექტებს. თუ ერთ ტილოზე მშვიდი ფერები რიტმულად გადადის ერთმანეთში და მყუდრო გარემოს ქმნის, მეორეგან მსუყე კოლორითი და მკვეთრი გადასვლები თავისებურ ელვარებას და ამალეებულ განწყობილებას ანიჭებს ნამუშევრებს („ნატურმორტი ლურჯ სუფრავა“).

პორტრეტული ქანრის სურათებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მხატვრის მიერ 30-იან წლებში შექმნილი ტილო „ლალ გულდაშვილი“, რომელშიც აშკარად ვგრანობთ ავტორის სწრაფვას შემოქმედის სულიერი სამყაროს გადმოცემისაკენ.

შ. მარადიშვილი ქანდაკებაშიც ერთგულია საყვარელი თემებისა და აქაც ძირითადად თავის თანამედროვეებსა და ხალხის ყოფას ასახავს.

კოლორტულია ბაზალტის ქვიდან გამოკვეთილი კახელი გლეხის პორტრეტი. ეკიხიანი ცხვირი, ხშირი უღვამები, დაღარული შუბლი და ოდნე ელამი, მეტყველი თვალები პორტრეტს მეტად გამომსახველს ხდის. უყურებს ამ ქანდაკებას და ვაიცებს, რაოდენ ღრმად ჩასწვდომია შემოქმედი შრომაში გაქვლარაგებული ადამიანის სულსა და ბუნებას. აქვე უნდა აღინიშნოს მოქანდაკის მიერ მომარჯეებული მხატვრული ხერხების შესახებ: გულმკერდის არე დამუშავებულია მცირე ბარელიეფებით — მწყემსი სალამურზე უჭრავს და აბალახებს იქვე გაშლილ ფარას. მეორე, შედარებით ახალგაზრდა გლეხის პორტრეტს ამკობს ასევე ბარელიეფით შესრუ-

ლებული, მევენახეობასთან დაკავშირებული სცენები.

სხვაგვარად არის გააზრებული ნიკოლოზ გოსტაშვილის — მეომრისა და უღრეკი სულის ადამიანის პორტრეტი. აქ არაფერია პლასტიკურად ხაზგასმული, არც გოლიათური აღნაგობა და არც სხეულის ფორმები, მაგრამ მის ამაყ და ზვიად გამოხედვაში შემომრის უღრეკი ნებისყოფა და შემართება ცოცხლად იგრანობა.

სინამდვილისადმი ემოციური დამოკიდებულებით, ცხოვრებისეული სიმართლითა და მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზიით გამოირჩევა ბარელიეფები: „პატარძლის გასიჩქავა“, „შეხვედრა სოფელში“, „აკაკი წერეთელი“ და სხვ., რომლებშიც სასურელი ეფექტის მისაღწევად გათვალისწინებულია ქვის ბუნებრივი შეფერილობა, ტონალობა.

გორის რაიონის სოფელ ტყეყვში მხატვრის სახლის მთელი ფასადი შემოკვში ორნამენტებში ჩასმული ბარელიეფებით — პორტრეტებითა და ყოფითი სცენებით. ეს სახ-

ლი ხალხური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია.

შ. მარადიშვილი დაიბადა 1899 წელს კახეთში, სოფელ ურიათუბანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მიღრეკილება ხატვისა და ძეგლისადმი ბავშვობიდანვე ჰქონია, მაგრამ გზისგამკვლევი არაინ აღმოაჩნდა.

თბილისში ყოფნისას, 1930 წელს, ლადო გუდიაშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება მას, როგორც ნიჭიერ თეთიანწაფელ მხატვარსა და მოქანდაკეს. შემდეგ წლებში მარადიშვილი უკვე მონაწილეობს საქართველოს ხალხურ ოსტატთა ნამუშევრების გამოფენაზე, ხოლო მომდევნო — 1932 წელს ეწყობა მისი პერსონალური გამოფენა. 1937 წელს, პარიზში, ხალხური შემოქმედების საერთაშორისო გამოფენაზე ექსპონირებული იყო კომპოზიცია „ალახნის ველი“, რომელსაც ფრანგულმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა.

ამ დროიდან მოყოლებული შ. მარადიშვილის შემოქმედება სისტემატურად იკავებს ადგილს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე.

საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში იქნა და ხოლმე (გ. გაბაშვილის, ლ. გუდიაშვილისა და ვ. ქიქოძის რეკომენდაციით) მის ნამუშევრებს და შესანიშნავი კოლექციაც დააგროვა. როცა შალვა მარადიშვილი გორის რაიონის სოფელ ტყეიავეში დასახლდა, ლ. გუდიაშვილი სისტემატურად უზღავნდა სოფელში ტილოს, საღებავებს, ფუნჯებს და მატერიალურადაც ეხმარებოდა.

„თქვენმა პერსონალურმა გამოფენამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ქართველ ფართო საზოგადოებაზე, — სწერდა შემოქმედის 1973 წელს ლადო გუდიაშვილი, — მართალია, ჩვენმა კავშირმა ნანატრი გამოფენა შეგვიანებით მოაწყო, სამაგიეროდ, თქვენმა ალალმა და მაღალმხატვრულმა შემოქმედებამ ყველა აღაფრთოვანა. თავისი სიტყვა თქვა თქვენმა შესანიშნავმა მხატვრობამ და ქანდაკებამ. ბევრმა გაიგო და დარწმუნდა, რომ ქართველ ხალხს ჰყავს კიდევ ერთი ბრწყინვალე მხატვარი, უპრეტენზიო, მაგრამ მაღალი სულით და დიდი ნიჭით დაჭილდოებული ადამიანი“.

აწ განსვენებული მხატვარი მხოლოდ შემოქმედებაში ხედავდა ნამდვილ ბედნიერებას. თავისი ძაღვის რწმენა, საქმის ერთგულება ახასიათებდა მუდამ და შინაგანი მოწოდებისთვის არასოდეს უღალატნია.



მატარძლის განსხვავ.
გოსტაშაბაშვილის პორტრეტი.
ხურჭინიანი გლეხი.



სიურრეალიზმი მხატვრობაში

ერასტ ვაჩნაძე

თანამედროვე ფსიქოპათოლოგიაში ერთი საინტერესო საკითხი დადგა — ურთიერთმიმართება პათოლოგიურობისა თანამედროვე დეკადენტურ მხატვრობასთან: ექსპრესიონიზმთან, აბსტრაქტულ მხატვრობასთან და სიურრეალიზმთან. ეს საკითხი იმდენად აქტუალური აღმოჩნდა, რომ იგი არა მარტო ფსიქოპათოლოგიის, არამედ ხელოვნებათმცოდნეობის მსჯელობის საგნადაც კი იქცა. აღნიშნული გარემოების გამო გამოიქვეყნა მრავალი, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი (მორსელინი, ვიეგანდტი, ლაფორა, ფერნანდი, პრინც-ჰორნი და სხვა — R. Volmat — L'art psychopathologique. Paris. 1956).

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მხატვრობის პათოლოგიური თვალსაზრისით განხილვა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების ანალიზი ხშირად მათ ფსიქიურ არასრულღირებულოვნებას გვიჩვენებს. მხატვარს, ისე როგორც საერთოდ ინდივიდუმებს, შეიძლება ფსიქონევროზების მთელი გაბაახასიათებდეს. შეიძლება დეკადენტი მხატვარი ფსიქონევროზულ მდგომარეობაში იყოს, მაგრამ ამის გამო დეკადენტური მხატვრობის პათოლოგიურად გამოცხადება ისევე არ არის მართებული, როგორც იმის თქმა, რომ ტრადიციული მიმართულებების მხატვარი უფრო ნორმალური და ჯუნსალია, ვიდრე თანამედროვე დეკადენტი მხატვარი. გამოჩენილი პაბლო პიკასო მხატვრობაში ექსპრესიონიზმის, კუბიზმისა და სიურრეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და წარმომადგენელი, ცნობილი

ფსიქიატრის იუნგის მოწმობით, ჩვენი დროის ყველაზე საღი გონებისა და ფსიქიურად სავსეებით სრულღირებულოვანი პიროვნებაა.

თანამედროვე დეკადენტური მხატვრობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სიურრეალიზმი აშკარა „პრეტენზიას“ აცხადებს სულით დაავადებულთა მხატვრობისათვის დამახასიათებელ ფსიქოპათოლოგიურ თავისებურებაზე.

სიურრეალიზმი ანდრე ბრეტონმა 1924 წელს თავის მანიფესტში განსაზღვრა, როგორც წმინდა „ფსიქიური ავტომატიზმი“, რომლის საშუალებითაც აზროვნების რეალური მოქმედება სიტყვიერად, წერილობით, ან სხვა შესაძლებლობით გამოისახება ყოველგვარი ლოგიკისა და გონებრივი კონტროლის გარეშე. მისი აზრით, ცნობიერების, ინტელექტისა და მეხსიერების ჩარევა მხატვრული ნაწარმოების ღირსებას ამცირებს. სიზმარი და სიგიჟე ადამიანის ფსიქიკური მოქმედების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სიურრეალიზმმა უფრო ნათლად მხატვრობაში იჩინა თავი. დივიზიონიზმი, სიმულტანიზმი, მონტაჟი, დაუკავშირებლობის გაერთიანება ლოგიკური, გააზრებული შინაარსის გარეშე უფრო თვალსაჩინოდ სახვით ხელოვნებაში იჩენს თავს.

თუ ანდრე ბრეტონმა სიურრეალისტურ შემოქმედებას საფუძვლად „ფსიქიური ავტომატიზმი“ დაუდო, ცნობილი სიურრეალისტი მხატვარი სალვადორ დალი 30-იან წლებში თავის „პარანოიდულ-

კრიტიკულ“ მეთოდს ახასიათებს, როგორც ირაციონალური შეშეცენების სპონტანურ მეთოდს, დაფუძნებულს ბოდივითი ასოციაციების კრიტიკულ ინტერპრეტაციაზე, ხოლო თავის მემუარებში იგი წერს: „მე ვარ შეშლილი, გარდა ერთი პუნქტისა, სადაც მე არა ვარ გიჟი“.

პათოლოგიური მხატვრობის სიურრეალისტურ მხატვრობასთან მიმართება სპეციალურად ცნობილმა ფსიქიატრმა ანრი იმ იკლია. (H. Ey. La psychiatrie devant le surrealisme. 1948). მეკლევარის კონცეფციაში ცენტრალურია ავტომატიზმის ცნება, რომლის ტიპიურ მაგალითს სიზმარი წარმოადგენს. ა. იმ შეხედულებით სიურრეალისტურ და პათოლოგიურ პროდუქციას იდენტური ესთეტიკური ღირებულება გააჩნია, მაგრამ განსხვავება მათ არსში ხედავს. მხატვრის მიერ ტილოზე გამოსახული ნაწარმოები გამოყოფა თავის ავტორს და სხვას დაუკავშირდება, მაშინ, როდესაც ავადმყოფი მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან, ეის აზრით, ავადმყოფის მხატვრობას ვერც ერთი სიურრეალისტი ვერ განახორციელებს, თუ ის არ არის გიჟი. სალვადორ დალის ფანტაზია და ექსცენტრიულობა განზრახ ხასიათს ატარებს. ანრი ეის რწმენით, სალვადორ დალის ბოდეა და სიციუე მოჩვენებითია, ე. ი. აპარსებული გიჟი.

ზემოაღნიშნულის გამო, ჩვენ ვცადეთ ექსპერიმენტულად გვეკვლია: ნამდვილად არის გაპირობებული სიურრეალისტური მხატვრობა ფსიქიკური ავტომატიზმით და ბოდივითი მდგომარეობით? ამ მიზნით, ჩვენ სამხატვრო აკადემიის 40 მხატვარს ტყოდენტს ვთხოვეთ ე. წ. „ავგლიუტინაციის“ მოვლენის საფუძველზე დაეხატათ შემჭიდროება მთელი რიგი საგნებისა, ან მათი ნაწილების გაერთიანებით სიურრეალისტურად, ალოკუტური, გამოუცნობი კომპლექსები, სიმულტანური ხატები.

კლავისი შედეგად გამოიკვია, რომ ყველა 40-მა ცდისპირმა თავის ნახატებში დიდი წარმატებით გამოავლინა სიურრეალიზმის შემოქმედებითი მექანიზმები — მრავალფეროვანი თემატიკა. რეალური სინამდვილიდან აღეპული დეტალებით გააერთიანეს ფანტასტიკური, გაუერთიანებელი კომპლექსები. ცდისპირების თვითდაკირვების მიხედვით: დასახულ ამოცანას ასრულებდნენ წინასწარი განზრახვით, აჩენდნენ რა აქტიობას და ნებისმიერ მოქმედებას, ამჩნევდნენ რა ამავე ღრის ობი-

ექტურად და კრიტიკულად წარმოსახულ წარმოდგენათა ასოციაციის ალოკუტრობას.

სიზოფრენიით დაავადებულითა ჩვენ მიერ შესწავლილ მხატვრობა (ე. ვანზაძე — „სულით დაავადებულითა მხატვრობის ზოგიერთი თავისებურება“. 1968) წარმოადგენს უწყვეტ, იმპულსურ, არამიზანდასახულ ქვევას. ამასთან, თავს იჩენს ხატების ქოტიურობა, ნეომორფიზმები, ნეოლოგიზმები, უცნაური სიმბოლური ნიშნები. ფაქტიურად, ეს ხატების შექმდროებაა ავგლიუტინაციის კანონის საფუძველზე. ნახატის საშუალებით ცდილობენ სპონტანურად თავისი პალიუცინატორული ბოდივითი იდეების გამოვლინებას.

ამრიგად, ყოველგვარი თავისებურების გარეშე, მსგავსება სულით დაავადებულთა და სიურრეალისტურ მხატვრობას შორის არ არის მოკლებული საფუძველს. რაში მდგომარეობს კონკრეტულად ეს მსგავსება?

თუ მას ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით განვიხილავთ, განსაკუთრებით კი ფორმალური ნიშნების მიხედვით, ორთავე გამოსახულებისათვის საერთოა: რეალური სინამდვილის უაყოფა, ფორმის ხელოვნური დარღვევა, ფერების ნებისმიერი ხმარება და სხვა. ერთი სიტყვით, ფორმისა და შინაარსის ერთიანობის დარღვევა, რაც ჩვენის აზრით, ორივე სახის მხატვრობისთვისაა საერთო. მაგრამ საკითხის გასარკვევად მხოლოდ მსგავსების დადასტურება არაა საკმარისი. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მხატვარი-სიურრეალისტი პათოლოგიურ პიროვნებად გამოვაცხადოთ. ამიტომ, საჭიროა საკითხის შესწავლა განსხვავების ძიების მიმართულებითაც წარმართოს. და აქ, პირველ რიგში, ფსიქოლოგიამ უნდა გავკინიოს ახმარება. საქმე ისაა, რომ გარეგნულად მსგავსი ყოველგვარი მოქმედება, ფსიქოლოგიულად შეიძლება საკმაოდ განსხვავებული იყოს.

ამასთან დაკავშირებით, სრულად გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს დ. უზნაძის მოძღვრება ფსიქიკის ორი დონის შესახებ (დ. უზნაძე — „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძველები“. 1949 წ.).


განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით პიროვნების ფსიქიკური ცხოვრება ორ დონეს გულისხმობს: განწყობის და ობიექტივაციის დონეს. ნორმალურ პირო-



სახელადორ დალი.

ბნელი თამაში.

შიზოფრენიით დაავადებულის ნახატი.



ბეში ამ დონეთა იერარქიული კავშირის ქვევის სტრუქტურას განაპირობებს. ფსიქოზის შემთხვევაში, კერძოდ, შიზოფრენიით დაავადებული ობიექტივაციის დონის გარკვეული დეფექტის გამო უფრო დაბალ, იმპულსურ, განწყობისეულ პლანზე მოქმედებს. ცხადია, სახვითი მოქმედებაც, როგორც ქვევის ერთ-ერთი ფორმა, განწყობის დაბალ დონეზე ხორციელდება. შიზოფრენიით დაავადებული მთლიანადაა ჩართული ხატვაში, თავის განცდებში, ავადმყოფი უშუალოდაა შერწყმული თავის სახვით პროდუქციასთან. განწყობის როლი სახვით მოქმედებაში დიდია, მაგრამ შეუძლებელია რომ ხელოვნების უდიდესი მიღწევები მხოლოდ განწყობის უშუალო მოქმედების შედეგი იყოს. შემოქმედებითი ინსპირაციის მდგომარეობაში ხელოვნის შესწევს ძალა იმპულსური ქვევის უშუალო მოქმედება შეაჩეროს, ნებლოზას დაუმორჩილოს და შემოქმედებითი ობიექტივაცია მოახდინოს. ნებლოზით აღჭურვილი მხატვარი აქტიურ შემოქმედებას იწყებს.

სიურრეალისტი მხატვარი, სრულიად ცნობიერად, თავისი შემოქმედების მექანიზმად ფსიქიკურ ავტომატიზმსა და ბოძვით მოვლენებს აღიარებს და, თუ შეიძლება ითქვას, შეგნებულად ცდილობს შიზოფრენიით დაავადებულის მსგავსად თავისი სახვითი ქვევა ფსიქიკის დაბალ, პირველ დონეზე წარმართოს. სიურრეალისტური მხატვრობა გააზრებული და მოფიქრებულია ისე, როგორც ჩვენი სტუდენტური მხატვრების კვლევის შედეგები, წინასწარ გააზრახული, ლოგიკას მოკლებული, ცნობიერად შესრულებული ნახატები.

ამრიგად, შიზოფრენიით დაავადებულის სახვითი მოქმედება ფსიქიკის დაბალი განწყობის დონეზეა. ფსიქიკური დაავადება პიროვნების გარეშე უშუალოდ არა ვლინდება. მხატვრული ნაწარმოები, განსახიერებული ტილოზე ამ წარმართილოში ობიექტივირდება, გამოეყოფა თავის ავტორს, უპირისპირდება მას, გარედან ხედავს თავის შემოქმედების საგანს და ბოლოს შორდება მას.

თუ დაბალ დონეზე გამოვლენილი მხატვრული პროდუქცია მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას, ფსიქიკის მაღალ დონეზე მხატვრის მიერ შექმნილი ნაწარმოები გამოირჩევა მდიდარი ფანტაზიით, კომპოზიციითა და შესრულების ტექნიკით. ამიტომაც, რომ რა დიდიც არ უნდა იყოს მსგავსება, ჩვენ მაინც ყოველთვის ვვარძობთ ვის ეკუთვნის მხატვრობა — ავადმყოფს თუ მხატვარს.

მიხეილ ჯომარია

თარსი დღე

კომედი პრე მოკმედებად

1934 წ.

მოკმედი პირნი:

კოპერატივის გამგე
დახლის მუშაკი
მოანგარიშემოღარე
მეეზოვე
მილიციელი

კოპერატივის შენობა. ნახევრად ბნელა. დახლზე ხელის ფარანი დგას. იატაკზე საბანია გაშლილი, რომელზეც პროლეტები აწევიან. მეეზოვე, რომელიც დამის დარაჯია, ყურებდაცქვეტილია და ფრთხილად, უხმაუროდ მოპრავს. თაროდან რამდენიმე კოლფ პაპიროსს იღებს და საბანზე დებს.

პატარა სარკმელი, რომელშიც მეეზოვე შემოჭრა, გამოღებულა.

I.

მეეზოვე. (თავს იშვინებს) განა ეს ქურდობაა, მოქალაქეო? ქურდობა ის არის, როცა... ერთი სიტყვით, იპარავენ, ძარცვან, გლეჯავენ, საღაროებს ტეხავენ, ანდა ხალხს უღლებს სკრიან ოხრად. აი ეს ნამდვილი ქურდობაა. მე კი რასაც ვაკეთებ, ქურდობა კი არა, პროვოკაციაა. რა მოხდა ისეთი? შევიდა, ჩემო ბატონო, დამის დარაჯი კოპერატივაში, გაყოლა ხელს კაცმა (კასრიდან რამდენიმე ქაშაყს იღებს) სულ ცოტა რამ... (ქაშაყს ნაქურდალთან დებს) და შინსაკენ გასწავა. დიდი ამბავი! სახელმწიფო ამით არ დაზარალდება. სახელმწიფოს მიუფურთხება ასეთი რაღაცეებისათვის. (კრავს ბოხასს და მერე საკუთარ თავს ეუბნება) თუმცა, მოითმინეთ მოქალაქეო, ძეხვით ზომ არ ჩაიგებრიდებდით პირს? (ჩამოიღებს ერთ რგოლ ძეხვს) სხვა დამის დარაჯი, ვინმე ნადირი და უაჩლი რომ შექერეს კოპერატივში, ჩემსავით კი არ დაიწვეს მორცხობას. არაფ-

რის დიდებით არ დამაყოფილდება ერთი რგოლი ძეხვით. ის თავზელი სამ რგოლს აწანის. (სამ რგოლ ძეხვს ჩამოსწის) ან სულაც ოთხს... მე კი სამს აწვანდი და მეყოფა კიდევ. მე ნამუსიანი ვარ. სახელმწიფოს სხეზევით უსაქონლოდ არ დატოვებ სახელმწიფოს ვაჭრობის საშუალებას ვაძლევ. (ბოხასს გახსნის და შიგ ძეხვს დებს, უჭრს მიუღვდებს) ეი, უნდა ვიჭიკარო, სხვა ვინმე ქურდი და მამაშალი რომ შემოვარდეს აქ, წარმოიდგენია, რა ამბავს დაატრიალებს. (ათვალერებს, კიდევ რა ავიღლო) რის წადებასაც ვერ მოახერხებს, ალბათ აქვე შესახლავს. პირუტყვი. (სანსლაყს შეჭრას, დანარჩენს ყიბეებში იუარის). განა ეს ქურდობაა, მოქალაქეო? ამის მხოლოდ ჰქვია ქურდობა. (იღებს პროლეტებიან ბოხასს) პატიოსანი რომ ვარ, იმიტომ მიმაქვს ასე ცოტა. ბედურასაც კი ვერ გააძლობს ეს... ჩემი დამსახურება იქნება, რომ სამი კაცით ნაკლები იდგება საღაროსთან რიგში. ეს, შეიძლება ითქვას, ჩემის მხრივ ქველმოქმედებაც კი იქნის. უნდა ვიჭიკარო. (მიღის სარკმელთან, შე-



მოღვს პროდუქტებთან ბოხანს და მერე თითონ შიქვრება). თავასხაფოტ გაშვებ, ალბათ, წერვები აეშლება. ვაი, იტავი, აწასწი ჩემი პროდუქტებითი, გამბარვებს, დამპყვიბო რა თქმა უნდა, პატროსან კაცს მართლაც არ ესიაშვებნა ასეთი ჩამის დანახა. უი, მგონი მოღიან! (გაუჩინასლება).

2.

გამგვ. (ღებვს კარს, სინათლეს ანუბს) მე, ივანე, სამუშაოზე უყოველითი ადრე მივყავს მოხვლა.
დახლის მუშაკი. (ელაქტუება) მე, ვასილ ფეოდოროვიჩი, პირდაპირ გავგებული ვარ, როგორი გენიალური პასუხისმგებელი მუშაი და პატიოსანი ადამიანი მრძანდებით. უყოველითის პირველი ხართ ხოლმე თქვენს საბროლო პოსტზე.

3.

გამგვ. (მიზნულიად) ოპ, რას ამბობ, ივანე, არა ვარ ღირსი...
დახლის მუშაკი. (გერ ამჩნევს, რომ მალახა ვაქტრდულია) სრული კემშარბიტება, ვასილ ფეოდოროვიჩი, სრული კემშარბიტება... იცითრა, თქვენ რაღაც განსაკუთრებული, არჩვეულებრივი პირიუნება ბრძანდებით.

გამგვ. (დამწუხრულად) მე, ივანე, სავთარი საქმისათვის ვცვალაობ, საყუარო თავისათვის ასე ბევრს არ ვიშუშავებდი.
დახლის მუშაკი. ეს, რასაკვირვება, ასეა... ეს სრული კემშარბიტება, ვასილ ფეოდოროვიჩი...

გამგვ. ხალხს კეთილდღეობისათვის ძალდონეს არ ვიშურებ.
დახლის მუშაკი. ეს ასეა... რა თქმა უნდა, ხალხს კეთილდღეობისათვის ძალდონეს არცერთი არ დაუშვებოდა. სწორედ ამიტომ ვაგებთ რაღაც სხვაინარბები... ერთი სიტყვით, განსაკუთრებულბი.

გამგვ. რა თქმა უნდა, ივანე, საყუარო თავისათვის არაფერი გვიდა, კაპიტალისტები ხომ არა ვართ. საერთო ინტერესები — ჩვენი ინტერესებია.

დახლის მუშაკი. ეს სწორია, რა თქმა უნდა, სწორია... ნამდვილად ვსწორია. ჩვენს თავზე სულ არ ვფიქრობთ, ოღონდ სხვები იყვენს კარგად.

გამგვ. შენ პოლიტიკურად სწორად მსჯელობ... სხვები ვინაა არაფე? სხვები — ჩვენა ვარს...

დახლის მუშაკი. მართალია, სრული კემშარბიტება... სწორედ რომ ჩვენა ვართ. სხვებზე არ ვფიქრობთ, ოღონდ ჩვენ ვყოფთ კარგად.

გამგვ. იხეთი შრომა, როცა საყუარო თავზე არ ფიქრობ, რასაკვირვებია, აქეთილომობილებს ადამიანს, ივანე, ადამიანი პატიოსანი, ღდაიდ სხვბა.

დახლის მუშაკი. ჩვენს სიღაიბეს, ვასილ ფეოდოროვიჩი, არავის დაუყომობთ. სიღაიბე რომ წვაგართავნ, ჩვენგან აღარაფერი არ დარჩება.

გამგვ. ორთქლი და ბოლი თუ დარჩება, მეტი არაფერი. (კალაშეის იხილს).

